ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 25 მარტი, 2022 №60 (8838) ფასი: 80 თეთრი

პროკურატურამ უკანონოდ ჩამორთმეული მიწის ნაკვეთის დაბრუნება გადაწყვიტა

მანვე ყოფილი მსჯავრდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის გადაწყვეტილება მიიღო

გვ.5

„არავითარი ნეიტრალიტეტი! საქართველო უნდა იყოს ნატოში!“



გვ.3

მურმან დუმბაძე: „მე ოპოზიციას მოვუწოდებ, დატოვონ პარლამენტი, დატოვონ საკრებულოები და გავაშიშვლოთ „ოცნება“

გვ.2

„პუტინი გაძლებაზეა, ამერიკამ რეალური სანქციები უნდა დაუწესოს!“

მამუკა გამყრელიძე: „როცა მეზობელი რუსეთი გვყავს, უსაფრთხოების გარანტიას ვერც ერთი ქვეყანა ვერ მოგვცემს“

„საწვავის ფასი 4.50 ლარამდე გაიზრდება“

გვ.3

ოთო აბესაძე: „ეკონომიკაა მთავარი და მერე ტყვია და ტანკის ლულა“

ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველოს პარტნიორებსა და ნატოსთან აკავშირებს ღირებულებითი ერთობა“

„ჩვენ ეს არაერთხელ დავამტკიცეთ ჩვენი დემოკრატიული რეფორმებით და გლობალურ უსაფრთხოებაში წვლილის შეტანით“

გვ.2

„მივმართავთ ხელისუფლებას, გამოააშკარავეთ რუსეთის სპეცსამსახურებთან დაკავშირებული პარტიები“

გვ.4

გიორგი გაჩეჩილაძე: „როგორ შეიძლება ასეთ ქვეყანაში რუსული მე-5 კოლონა თავისუფლად პარპაშებდეს და რუსული პარტიები სოკოებივით იზრდებოდნენ?“

გვ.4

„რუსეთის იმპერიული პოლიტიკა მხოლოდ პუტინის ჩამოცილებით ვერ შეიცვლება“

3 მინისტრი ბრეგაძე: „საქმე „სააკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ სტრასბურში არსებით ეტაპზე გადადის“

5 პროკურორი იაკობიძე: „მოწმემ თქვა, რომ ლაშქარავას სახეზე დაზიანება ჰქონდა“

5 ფოთში ახალგაზრდა მამაკაცი უროთი მოკლეს

6 პუტინის მრჩეველმა ანატოლი ჩუბაისმა რუსეთი დატოვა

1993230720223

„პუტინი გაძლებაზეა, ამერიკამ რეალური სანქციები უნდა დაუწესოს!“

მამუკა გამყრელიძე: „როცა მეზობელი რუსეთი გვყავს, უსაფრთხოების გარანტიას ვერც ერთი ქვეყანა ვერ მოგვცემს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დიპლომატი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, როგორ აფასებთ ბოლო დღეებში განვითარებულ პროცესებს? საოცარ თავდადებას გვაჩვენებენ უკრაინელები. როგორ უტევენ და როგორ ერთსულოვნები არიან. რა მოლოდინი გაქვთ?

– რაც შეეხება უკრაინელებს, ასეთი საოცარი ერთიანობა, რაც ამ ერშია, ალბათ ყველა სხვა სახელმწიფოსა და ერისთვის იქნებოდა საამაყო და სასურველი. ერი არის აბსოლუტურად გაერთიანებული, მათ შორის რუსულენოვანიც, კათოლიკეებიც, მართლმადიდებლებიც. მოკლედ, სრულიად ერთიანია. ეს ერი ჩამოყალიბდა ნაციად, ხოლო უკრაინა არის სახელმწიფო! ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, რაც სამწუხაროდ, ჩვენ გვაკლია, არ გვაქვს ამის შეგრძნება ერში.

– ჩვენთან ამ მხრივ რთული მდგომარეობაა.

– ჩვენ ვართ დაქსაქსულები, ერთმანეთთან დაპირისპირებულები და აბსოლუტურად ერთიანობამოკლებული. რაღაც ეთნოსი ვართ, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით სახელმწიფოდ ვერ ჩამოყალიბდა. მიუხედავად იმისა, რომ სტატუსი გაგვაჩნია სახელმწიფოსი. ძალიან ბევრი რამ გადაწყდება ამ სამიტებზე.

– რა მოლოდინი გაქვთ?

– თუ დავუჯერებთ დიმიტრი კულებას, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრს, არაფერი არ შეიცვლება, იმიტომ, რომ არ არსებობს კონსენსუსი. იმ თვალსაზრისით, რა ინიციატივაც პოლონეთმა დააყენა, რომ მშვიდობისმყოფელები ნატოდან ჩაერთონ ამ საკითხში.

– როდესაც ამაზე მიდის საუბარი, იმავე წუთს ისმის რუსეთის მუქარა, რომ ამას ჩათვლის ნატოს ჩარევად და შესაბამის ზომებს მიიღებს.

– კი, ბატონო, ასე ამბობს პუტინი და ეს არის ერთგვარი შანტაჟი რუსეთის მხრიდან. არც გაეროდან ისმის მოწოდებები იმისა, რომ გაეროს ეგიდით მშვიდობისმყოფელები ჩაერიონ. მხოლოდ შეწუხებულ განცხადებებს აკეთებენ, რომ ბავშვები იღუპებიან და ასე შემდეგ. ჩაერიონ. თუ აფრიკასა და აზიაში შეიძლება ჩარევა, რატომ არ შეიძლება შუაგულ ევროპაში?! ეს იმას ნიშნავს, რომ ძველი ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციებმა, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ შეიქმნა, სრულიად ამოწურეს საკუთარი შესაძლებლობები და საკუთარი არსებობის მანდატი.

– განაცხადა კიდეც ამაზე ზელენსკიმ და მოითხოვა ახალი ტიპის ორგანიზაციის შექმნა.

– რა თქმა უნდა. ახლა სწორედ შუაგულ პროცესში ვართ მსოფლიოს ახალი ტიპის მოწყობის. ჩვენ თვალწინ იბადება სრულიად ახალი ევროპა. ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრები იყო ჯერ ვერსალში, შემდეგ ბრიუსელში, სრულიად ახალი სისტემა იბადება, ევროპის უსაფრთხოების ახალი სისტემა, რომელშიც ევროკავშირის ქვეყნები იქნებიან.

– ჩვენ რამდენად ვიქნებით ამ ახალი ევროპის ნაწილი? ვისმენთ შეფასებებს, რომ ძალიან ცუდად გამოიყურება დღეს ჩვენი ხელისუფლება მათი განცხადებებიდან გამომდინარე. რა ხდება, რასთან გვაქვს საქმე?

– არაპოპულარულია, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობის პოზიცია, მაგრამ, მეორე მხრივ, ისიც უნდა დავინახოთ, თუ რა სიტუაციაშია ახლა საქართველო. დამოკლეს მახვილივით არის დაკიდებული 40 კილომეტრში მდგარი რუსული ტანკები. ცხადია, ხელისუფლებასაც ეშინია ამის, მაგრამ აქ მთავარი ის კი არ არის, დღეს რა საფრთხე გვაქვს, აქ მთავარი ის არის, რომ 10 წლის განმავლობაში ამ ხელისუფლებამ არაფერი არ გააკეთა იმისთვის, რომ გაძლიერებულიყო საქართველოს უსაფრთხოების სისტემა, ჯარი გაძლიერებულიყო. არაფერი გააკეთა, რომ საერთაშორისო მიმართულებით მაქსიმალურად ემუშავა.

– სულ გვესმის შეფასებები, როდესაც მტერი ასე ახლოს გყავს, უნდა გეყოს იმის ჭკუა, რომ გაძლიერდე, ჯარი გყავდეს, შეგეძლოს თავდაცვა. საერთოდ რა დღეშია ჩვენი თავდაცვა, იცის ვინმემ?

– კატასტროფული მდგომარეობაა. ჯარისკაცები ყარაულებად არიან გადაქცეულები. ზოგი საწყობს იცავს, ზოგი რას და ზოგი რას. რეალურად 9 ბატალიონის გაწვრთნა მოხდა ამერიკელების მიერ და მეტი არაფერი გაკეთებულა. ჯარი სავალალო მდგომარეობაშია, დაზვერვაც სავალალო მდგომარეობაშია და კონტრდაზვერვა პოლიტიკური ოპონენტების მწყემსად არის გადაქცეული. როდემდე შეიძლება ასე?! ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, დაშლილი და დაჩაჩანაკებული უსაფრთხოების სისტემა რომ გაქვს, ვერაფერს გახდები მტერთან. უკანასკნელად როდის შეიკრიბა უშიშროების საბჭო?!

– პრეზიდენტმაც მოუწოდა ხელისუფლებას, რომ მოეწვია უშიშროების საბჭოს სხდომა, მაგრამ ყურიც არ ათხოვეს.

– პრეზიდენტს ბოდვები აწუხებსო, ასეთი რამის თქმა როგორ შეიძლება. როგორ შეიძლება ასე მიმართო პრეზიდენტს. აი ეს არის, რომ რეალურად სახელმწიფო დაშლილია, არ არსებობს.

– ერთი კაცის მითითებებს ასრულებენო. ასეა?

– კი, ბატონო, და როგორც ჩანს, ის ერთი კაცი ისტერიაშია, ისეთი შეშინებულია. აქედან გამომდინარე, მისი მდგომარეობა აისახება სახელმწიფო მდგომარეობაზე. ამიტომ მე არ მიკვირს ის დაფეთებულ-შეშინებული მდგომარეობა ჩვენი ხელისუფლების, იმიტომ, რომ გადასარევად იციან, რუსებმა რომც გადაწყვიტონ აქ რაიმე ინტერვენცია, მათ არავინ გააჩერებს თანამდებობაზე, მაშინვე ჩამოაგდებენ. მათ დასჭირდებათ კიდევ უფრო მორჩილი ხელისუფლება. საკუთარი ხელით რომ შექმნა ამ ხელისუფლებამ ის ალტინფოები და კიდევ რაღაცა ჯგუფები, აი სწორედ ისინი იქნებიან, ვინც ამ ხელისუფლებას ჩაანაცვლებს რუსეთის ხელით. ამას თუ ვერ ხვდებიან, მაშინ კარგად ყოფილა მაგათი საქმე. ამიტომ, მე არ მიკვირს მათი ეს ძალიან შეშფოთებული და შეშინებული პოზიცია.

– შიშიდან გამომდინარე აქვთ ეს პოზიცია, მაგრამ ჩნდება კითხვები, მარტო შიშია აქ თუ არის რაიმე ქვეინტერესები?

– ვერ გეტყვით, ვიღაცას ექნება ეს ინტერესი, ვიღაცას არ ექნება. მთლიანობაში, ჩვენ რასაც ვუყურებთ, ივანიშვილი ამ ათი წლის განმავლობაში ცდილობდა ორ სკამზე ჯდომას.

– არც ერთ მხარეს არ უნდოდა ურთიერთობის გაფუჭება?

– ასეა და ეს ბოლოს რომ ცუდად მთავრდება, შევარდნაძის პერიოდმაც გვიჩვენა. მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძემ მართლაც ბევრი გააკეთა ქვეყნის ევროპული ვექტორის გაძლიერებისთვის. ნატოსა და ევროპასთან დაახლოება სწორედ შევარდნაძის პერიოდში დაიწყო. ან აქეთ უნდა იყო, ან იქით, ორივე მხარეს ვერ იქნები. სააკაშვილი იყო ცალ მხარეს. ესენი ორ სკამზე ჯდომას ცდილობენ. სწორედ რუსებმა არ შეუწყვეს ხელი შევარდნაძეს, რომ დარჩენილიყო ხელისუფლებაში. იმ დროს ძალიან ბევრ პროცესს სწორედ რუსეთი მართავდა საქართველოში. შევარდნაძემ მოასწრო და სააკაშვილი დატოვა მემკვიდრედ, თორემ სულ სხვა მოიაზრებოდა მის ნაცვლად. ასე მოხდება ახლაც. ჩემი აზრით, „ოცნების“ ხელისუფლება უკვე განწირულია.

– რა დრო დარჩა „ოცნების“ ხელისუფლებას და რამდენად სახიფათო ვითარებაა და არის თუ არა იმის საშიშროება, მართლაც მოვიდეს ხელისუფლებაში პრორუსული ძალა, რომელიც ორმაგ თამაშსაც აღარ ითამაშებს?

– ამის საშიშროებას ვხედავ ერთ შემთხვევაში, თუ მოხდა რუსეთის პირდაპირი ინტერვენცია.

– როდესაც ნეიტრალიტეტზე საუბარი დაიწყეს, ეს ვის ინტერესში შედის და რამდენად სახიფათოა ამ ეტაპზე ამ საკითხის წინა პლანზე წამოწევა?

– ნეიტრალიტეტი არის მთლიანად რუსული ნარატივი. საქმე ისაა, რომ არ არსებობს მყარი გარანტიები, რომლის მოცემაც შეუძლია რომელიმე სახელმწიფოს დღეს ჩვენთვის. ვერც ერთი ქვეყანა და ვერც ერთი კავშირი, ჩვენ უსაფრთხოების ვერანაირ გარანტიას ვერ მოგვცემს მაშინ, როდესაც რუსეთი არის ჩვენი მეზობელი. ეს არის შეუძლებელი. ასეთი გარანტიები ვითომ გაცემული იყო უკრაინის მიმართ თავის დროზე, მაგრამ რუსეთმა 2014 წელს და, სხვათა შორის, ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც ერთად დაარღვიეს. მიუხედავად მიცემული გარანტიებისა, დაეხმარა ამერიკა უკრაინას? არ დაეხმარა. ძალიან კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი გულისთვის თავს არავინ მოიკლავს. ამიტომ ნეიტრალიტეტი არაფრის მომცემი არ არის.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველოს პარტნიორებსა და ნატოსთან აკავშირებს ღირებულებითი ერთობა“

„ჩვენ ეს არაერთხელ დავამტკიცეთ ჩვენი დემოკრატიული რეფორმებით და გლობალურ უსაფრთხოებაში წვლილის შეტანით“

– საქართველო დემოკრატიული და კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული სახელმწიფოა, რომელსაც ჩვენს პარტნიორებსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან აკავშირებს ღირებულებითი ერთობა; ჩვენ ეს არაერთხელ დავამტკიცეთ ჩვენი დემოკრატიული რეფორმებით და გლობალურ უსაფრთხოებაში საკუთარი წვლილის შეტანით.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში განაცხადა, სადაც ნატო-საქართველოს სწავლების მიმდინარეობას გაეცნო.

მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა ნატო-საქართველოს სამეთაურო-საშტაბო სწავლების მნიშვნელობას თავდაცვის ძალების მზადყოფნის გაძლიერების, მართვის გაუმჯობესებისა და ალიანსთან თავსებადობის ამაღლების თვალსაზრისით და აღნიშნა, რომ ეს სწავლება ნატოს მხრიდან საქართველოს ძლიერი პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერის კიდევ ერთი ნათელი დასტურია.

– ქალბატონო პრეზიდენტო, ბატონო პარლამენტის თავმჯდომარეე, ბატონო მინისტრო, თავდაცვის ძალების მეთაურო, ბატონო გენერლებო, ოფიცრებო, სერჟანტებო, კაპრალებო და რიგითებო, პატივცემულო ელჩებო, ძვირფასო სტუმრებო, მინდა, მოგესალმოთ ყველას ნატო-საქართველოს სამეთაურო-საშტაბო სწავლებაზე, რომელიც უკვე მესამედ ტარდება და რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თავდაცვის ძალების მზადყოფნის გაძლიერების, მართვის გაუმჯობესებისა და ალიანსთან თავსებადობის ამაღლების თვალსაზრისით.

ეს სწავლება ნატოს მხრიდან საქართველოს ძლიერი პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერის კიდევ ერთი ნათელი დასტურია. ნატო-საქართველოს სწავლება 2022-ის ყველა საფეხური დაგეგმვიდან შეფასების პროცესამდე ჩვენი სამხედროების მიერ ხორციელდება ნატოს სტანდარტების მიხედვით. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი ჯარის და ამ შემთხვევაში მისი მართვის რგოლის მაღალკვალიფიციურობასა და პროფესიონალიზმს.

ეს არის ჩვენი გრძელვადიანი და სისტემური თავდაცვის პოლიტიკის შედეგი, რომლის მიზანიცაა, გვყავდეს საუკეთესო მომზადების, თანამედროვე ძლიერი ჯარი, რომელიც ეფექტურად დაიცავს ჩვენი ქვეყნის თავისუფლებას და უსაფრთხოებას. მინდა, ამაყად ვთქვა, რომ დღეს ჩვენი ჯარი არის ძლიერი და ნატოსთან ურთიერთთავსებადი მეტად, ვიდრე ოდესმე. მინდა, ამ მრავალეროვნული სწავლების მონაწილეებს, ჩვენს პარტნიორებს და მეგობრებს, ყველას გადაგიხადოთ განსაკუთრებული მადლობა სწავლებაში მონაწილეობისათვის.

წლების განმავლობაში, ჩვენს მრავალ პარტნიორთან ერთად, მხარდამხარ ვიცავდით და ვიცავთ მსოფლიო მშვიდობას. მსგავსი სწავლებები ამ მიმართულებით არა მხოლოდ ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების შესანიშნავი საშუალებაა, არამედ აძლიერებს ჩვენს კოორდინაციას და ხელს უწყობს უსაფრთხოებასა და სტაბილურობას, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა საერთაშორისო პარტნიორებს, საქართველოს თავდაცვის ძალების ტრანსფორმაციისა და თავდაცვისუნარიანობის გასაზრდელად გაწეული მნიშვნელოვანი ძალისხმევისთვის.

– ჩვენ ამას ძალიან ვაფასებთ და ვართ მადლიერნი. საქართველო დემოკრატიული და კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული სახელმწიფოა, რომელსაც ჩვენს პარტნიორებთან და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან აკავშირებს ღირებულებითი ერთობა. ჩვენ ეს არაერთხელ დავამტკიცეთ ჩვენი დემოკრატიული რეფორმებით და გლობალურ უსაფრთხოებაში საკუთარი წვლილის შეტანით. ევროკავშირში განაცხადიც სწორედ ამ საერთო ღირებულებითი და კულტურული იდენტობისკენ მისწრაფების გამოხატულებაა.

მინდა, კიდევ ერთხელ, სწავლებაში მონაწილე ყველა პირს გადაგიხადოთ მადლობა, განსაკუთრებით ამ დროს, როდესაც უკრაინაში მიმდინარეობს საომარი მოქმედებები, რომელიც არის გამოწვევა არა მხოლოდ უკრაინისთვის, არამედ მთელი ევროპისთვის, მთელი რეგიონისთვის. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა, გისურვებთ წარმატებებს, – აღნიშნა პრემიერმა.

სწავლების მონაწილეებს სიტყვით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა, პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა, თავდაცვის მინისტრმა ჯუანშერ ბურჭულაძემ, თავდაცვის ძალების მეთაურმა, გენერალ-მაიორმა გიორგი მათიაშვილმა, დაზვერვისა და უსაფრთხოების საკითხებში ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწემ დევიდ კეტლერმა და ნატოს სახმელეთო სარდლობის მეთაურის მოადგილემ, გენერალ-ლეიტენანტმა ნიკოლა ძანელიმ.

ღონისძიების სტუმრებმა ასევე მოისმინეს ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგისა და სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარის, ადმირალ რობ ბაუერის ვიდეომიმართვები.

ღონისძიების დაწყებამდე, წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული სამხედროების ხსოვნას.

ნატო-საქართველოს სწავლება 2022-ის შესახებ საინფორმაციო პრეზენტაცია მონაწილეებს ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის მეთაურმა, პოლკოვნიკმა დავით გაგუამ წარუდგინა.

ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწე დევიდ კატლერი, ნატოს საერთაშორისო სამხედრო სამსახურის თანამშრომლობითი უსაფრთხოების სამმართველოს დირექტორი, გენერალ-მაიორი ფრანჩესკო დიელა, ნატოს გაერთიანებული ძალების საწვრთნელი ცენტრის მეთაური, გენერალ-მაიორი ნორბერტ ვაგნერი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გრიგოლ ლილუაშვილი, დაზვერვის სამსახურის უფროსი შალვა ლომიძე, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების თავმჯდომარე ირაკლი ბერაია, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ჩაჩიბაია და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ნატო-საქართველოს სწავლება 2022 არის სამეთაურო საშტაბო სწავლება, რომელიც კომპიუტერულ სწავლებას გულისხმობს და საველე არ არის. წვრთნების განმავლობაში მონაწილეები კომპიუტერული სიმულაციების მეშვეობით ოპერაციების დაგეგმვისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს ავითარებენ და ერთმანეთს ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებენ. საშტაბო სწავლების დაგეგმვა 2020 წლიდან მიმდინარეობს.

ეს არის ნატო-საქართველოს სწავლებების ციკლში რიგით მესამე სწავლება, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ ტარდება. მრავალეროვნულ სწავლებაში ნატოს წევრი და პარტნიორი 20-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„არავითარი ნეიტრალიტეტი! საქართველო უნდა იყოს ნატოში!“

მურმან დუმბაძე: „მე ოპოზიციას მოვუწოდებ, დატოვონ პარლამენტი, დატოვონ საკრებულოები და გავაშიშვლოთ „ოცნება“

ნათია ხურცილავა

პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, „ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“— ერთ-ერთი ლიდერი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, უკრაინაში დაღუპული გმირების ცხედარს აეროპორტში პრეზიდენტ ზურაბიშვილის გარდა, მთავრობის წევრებიდან არავინ არ დახვედრია. რატომ, როგორ ფიქრობთ?

– ამ კონკრეტულ მოცემულობაში სალომე ზურაბიშვილი სწორად იქცევა და ეს უნდა აღვნიშნო. მთავრობიდან არავინ არ დახვდა იმიტომ, რომ პუტნის ხელისუფლების ფილიალთან გვაქვს საქმე. სრულიად წარმოუდგენელია გმირებს, რომლებიც უკრაინაში იბრძოდნენ არა მხოლოდ უკრაინისთვის, არამედ პირველ რიგში სამშობლოსთვის, ქვეყნის ხელისუფლებიდან არავინ არ დახვედროდა. საქმით ჩანს, ვისთან გვაქვს საქმე. ცხვირზე უკრაინის დროშის აფარება, არაფერი დიდი საქმეა. ეს არ არის მხარდაჭერა. არადა, ამ ხალხის წინაშე საქართველოს ვალი აქვს გადასახდელი. ამ ვალს იხდიან გია ბერიაშვილი, დავით რატიანი და ბახვა ჩიქობავა.

ჩვენი ბიჭები, ქართველი გმირები, უკრაინაში იბრძვიან არა იმიტომ, რომ უკრაინა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, არამედ, თუ რუსეთი უკრაინაში გაიმარჯვებს, გაიმარჯვებს საქართველოზეც. დღეს რუსეთი, პუტინი უნდა დავამარცხოთ უკრაინაში. ეს უნდა შეიგნოს მთელმა ცივილიზებულმა მსოფლიომ. ამის გაცნობიერება ხდება დასავლეთის მხრიდან. რაც ვერა და ვერ გააცნობიერა ჩვენმა ხელისუფლებამ.

2008 წელს საქართველოში, 2014 წელს ისევ უკრაინაში დასავლეთმა დაუშვა შეცდომა. არ ირწმუნეს არც ჩვენი, არც უკრაინელების, როდესაც ჩვენ მათ ვაფრთხილებდით, რომ პუტინის მიზანი საქართველოს ოკუპირება კი არა, უფრო დიდია, რომ პუტინს იმპერიის აღდგენა უნდა. ეს მაშინ არავინ ირწმუნა. ახლა დასავლეთი ამ შეცდომის გამოსწორებას ცდილობს. ის ხვდება, რომ თუ ახლა პუტინს მისცემს კიდევ ერთ შანსს, შემდეგი თვითონ იქნება. ახლა ეს ომია უკრაინაში და ამას ხვდება ყველა. ამას, ცხადია, ხვდებიან და კარგად იციან ჩვენმა გმირმა ბიჭებმა, რომლებიც დღეს უკრაინაში იბრძვიან. ჯანდაბამდე გზა ჰქონია ხელისუფლებას, რომელიც ამას ვერ ხვდება. თუმცა, ამის გაუცნობიერებლობა დანაშაულის ტოლფასია.

– ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ შესაძლებლობა ჩნდება ქვეყნის დეოკუპაციის. რაზეც პარლამენტის თავმჯდომარემ პაპუაშვილმა განაცხადა, როდესაც უკრაინაში ომია, საქართველოს თემატიკის გააქტიურება არაკეთილსინდისიერია. რას იტყვით.

– რა უნდა თქვა, როდესაც პუტინმა ასე დაავალა ხელისუფლებას. ასე უნდა თქვას შალვა პაპუაშვილმა, ასე უნდა იფიქროს.

– გრიგოლ ვაშაძესაც ვერ წარმოუდგენია, რა ახალ შესაძლებლობებზეა საუბარი.

– ვერ გეტყვით, რას ფიქრობენ კონკრეტული პიროვნებები. ჩვენ პესიმიზმში არ უნდა ჩავვარდეთ. გერმანიის გაერთიანებაც რთულად წარმოსადგენი იყო, მაგრამ გაერთიანდა. თუ ჩვენ ცივილიზებული სამყაროს ნაწილი გავხდებით, თუ საქართველოს მოქალაქეს ექნება დასავლური პასპორტი, აფხაზებიც ჩვენთან ერთად იქნებიან ამ პასპორტით ხელში.

აშკარაა, რომ ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბება ხდება, მაგრამ ამას ვერ ხვდება შალვა პაპუაშვილი.

– თქვენ, როდესაც რუსეთუმეობაზე აკეთებთ აქცენტს, მათ აქვთ არგუმენტი, რომ ამ ფონზე ნატოს წვრთნები არ გააუქმეს.

– ვერ გააუქმებდნენ, ეს იქნებოდა პირდაპირი სიგნალი მთელი დასავლეთისთვის, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, რომელმაც ამდენი ჩადო ამ ყველაფერში. ასე მარტივად არ არის.

რატომ არ ურეკავს პრემიერი ზელენსკის, რატომ არა აქვთ კომუნიკაცია უკრაინის მთავრობის წევრებთან. რა ხდება ამისთანა, რატომ ერიდებიან ამ ურთიერთობას. გასაგებია, რომ მთელი უკრაინის ხელისუფლება ნაციონალებად ჰყავთ გამოცხადებული, მაგრამ კიევის თავზე, როდესაც ბომბები ცვივა, ბორის ჯონსონი, ბრიტანეთის პრემიერი, იქ ჩასვლას აპირებს, საქართველოს პრემიერი, საინტერესოა, დარეკვას მაინც თუ აპირებს?!

უნდა ვინმეს თუ არ უნდა, მესამე მსოფლიო ომშია სამყარო. აქედან უკრაინა და მთელი დანარჩენი ცივილიზებული ნაწილი გამარჯვებას იზეიმებს პუტინსა და მის ბოროტებაზე. ჩვენ სად ვიქნებით, რომელ მხარეს, მე ეს მაინტერესებს, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს. ეს სამყარო მალე შეიცვლება, ეს უნდა თუ არა უნდა ხელისუფლებას. საბედნიეროდ, ეს არ არის ბიძინა ივანიშვილზე დამოკიდებული.

– საერთაშორისო ასპარეზზე ხელისუფლებისა და ოპოზიციის ერთობლივ განაცხადზე, წარდგომაზეა საუბარი. თუმცა, „ქართულმა ოცნებამ“ ამას არ განვიხილავთო. რამდენად არის შესაძლებელი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ასეთი ერთობა?

– როგორც ჩანს, შეუძლებელია. არ განიხილავენ და ნუ განიხილავენ. როდესაც ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე ასეთია „ქართული ოცნების“ პასუხი, მე ოპოზიციას მოვუწოდებ, დატოვონ პარლამენტი, დატოვონ საკრებულოები და გავაშიშვლოთ „ოცნება“.

თუ ოპოზიციას არ განიხილავს ხელისუფლება, ქართველი ხალხი განიხილავს იმას, რომ საქართველო უნდა იყოს ნატოში და არავითარი ნეიტრალიტეტი, რომ საქართველო უნდა იყოს ევროკავშირში, რომ ცივილიზებული სამყაროს ნაწილი უნდა იყოს და ამიტომ ღვრიდა და ღვრის სისხლს. თუ ამაზე უარს იტყვიან საქმით, მაშინ ქართველი ხალხი მათ ხელისუფლებაში არ განიხილავს, ამის გარანტიას გაძლევთ მე.

„საწვავის ფასი 4.50 ლარამდე გაიზრდება“

ოთო აბესაძე: „ეკონომიკაა მთავარი და მერე ტყვია და ტანკის ლულა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ეკონომიკის ექსპერტი ოთო აბესაძე პასუხობს

– ოთო, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის ეკონომიკურ პროცესებს? ყველა თქვენი პროგნოზი გამართლდა, საკმაოდ რთული რეალობა გვაქვს. პანიკაა მოსახლეობაში. რა მოლოდინები გაქვთ?

– მოლოდინები, სამწუხაროდ, ისევ ნეგატიური მაქვს, რადგან ნებისმიერი ტიპის ეკონომიკური შედეგი რომ მივიღოთ, ამას სჭირდება დრო. მინიმუმ, რამდენიმე ეკონომიკური ნაბიჯი უნდა გადადგმულიყო, რომელიც აისახებოდა დღეს, ხვალ და მომდევნო პერიოდში, იმისთვის, რომ პოზიტივი შექმნილიყო. არანაირი ტიპის რეფორმა და ქმედითი გადაწყვეტილება არ მიღებულა, რომელიც შედეგს გამოიღებს დღეს. შესაბამისად, ფასები კვლავ გაიზრდება. საწვავის ფასიც, როგორც ვპროგნოზირებდი, ისე მოხდა, თუმცა კვლავაც გაიზრდება და საშუალოდ 4,50 ლარი იქნება და კიდევ 20%-ით გაგვიძვირდება სურსათი და პირველადი მოხმარების საგნები და ნივთები. ომში მყოფი ქვეყანაც კი მიხვდა, რომ რეალური ომი ეს ეკონომიკაა და არა ტანკი და თოფის ლულა და, შესაბამისად, მათაც კი გადაწყვეტილება მიიღეს ეკონომიკური რეფორმების, საგადასახადო კუთხით, რასაც ერთი წელია ვიხვეწები საქართველოში. ჩვენი ეკონომიკური პარამეტრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია-თქო, მაგრამ აქ ვერ ხვდებიან სამწუხაროდ და ომში მიხვდნენ. ეკონომიკაა მთავარი და მერე ტყვია და ტანკის ლულა.

– ჩვენთან რატომ ვერ ხვდებიან ამას, რატომ არ ღებულობენ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს?

– მათი ეკონომიკური ხედვა არის აბსოლუტურად სხვანაირი. ისინი ფიქრობენ, რომ ძლიერი სახელმწიფო ეს არის გაზრდილი ბიუჯეტი და რეალურად ძლიერი სახელმწიფო ეს არის მდიდარი ადამიანი და არა გაზრდილი ბიუჯეტი. ბიუჯეტი რის ხარჯზე იზრდება? იზრდება ინფლაციის ხარჯზე და დაბეჭდილი ლარის ხარჯზე. ინფლაციის ხარჯზე გაზრდილი ბიუჯეტი არის ყველაზე ნაკლებად მსყიდველუნარიანი და ყველაზე უფრო პრობლემური. შესაბამისად, ვდგებით და კიდევ უფრო სიღრმეებში შევდივართ ეკონომიკურ პრობლემებში. ამაში კი გამოსავალი არის ერთადერთი, მცირე მთავრობის მოდელი, საგადასახადო მოდელი და მაქსიმალურად ლიბერალური და ბიუროკრატიული მიდგომების ჩახსნა ეკონომიკიდან. ეს უნდა მოხდეს, რაც შეიძლება სწრაფად.

– გარკვეული სახის საკვებ პროდუქტებზე შეიქმნა დეფიციტი, ეს საკითხი ძალიან აშინებს ჩვენს მოსახლეობას. ეს ყველაფერი ხელოვნურად ხდება თუ მართლაც უნდა ველოდოთ საკვები პროდუქტების დეფიციტს?

– არა, არანაირი დეფიციტი არ შეიქმნება. ის აჟიოტაჟი, რაც შაქარზე იყო შექმნილი, ეს იყო ხელოვნური, იმიტომ, რომ შაქართან არანაირი შეხება არა აქვს არც რუსეთს და არც უკრაინას საქართველოს იმპორტის ბაზარზე. ჩვენი ძირითადი მომწოდებლები არიან ბრაზილია და აზერბაიჯანი. შესაბამისად, სიგიჟე იყო სრულიად ის, რაც მოხდა. ეს იყო ხელოვნურად შექმნილი აჟიოტაჟი. რაც შეეხება ნიუანსებს, თამბაქოზე შეიქმნება გარკვეული სახის დეფიციტი, თუმცა ალტერნატიული ბაზრები მოიძებნება, ვინაიდან ჩვენ ვართ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრები და გვაქვს იმის რესურსი, ალტერნატიული ბაზრები მოვიძიოთ. აქ მთავარი დეტალი და ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, იმპორტიორებმა ალტერნატიული ბაზრები მოიძიონ, მათ სჭირდებათ საგადასახადო მოქნილი გარემო, ფასები რომ დაიჭირონ, რადგან ალტერნატიულ ბაზრებზე რომ გავლენ, ფასი იქნება თავისთავად ძვირი. უკრაინის ბაზარი იყო გაცილებით იაფი. აი სწორედ აქ არის საჭირო ის შეღავათები, რაზეც მე ვსაუბრობ, რომ მოარგოს ახალ რეალობას ახალი საგადასახადო დეტალები. აქვე ვიტყვი, რომ ყველაზე მტკივნეულად ეს პროცესები აისახება სამშენებლო სეგმენტზე.

– ამაზე გააკეთეთ განცხადება, რომ ძალიან გაძვირდება სამშენებლო სეგმენტი. რა ხდება ამ კუთხით?

– ეს არის მთავარი პრობლემური საკითხი. უკრაინა და რუსეთი იყო არმატურის მთავარი შემომტანი საქართველოში. დღევანდელი მდგომარეობით, უკვე 1.300 დოლარზეა ასული ტონა არმატურა. პანდემიამდე ეს იყო დაახლოებით 600-დან 800 დოლარის ფარგლებში. თავისთავად საწვავის გაძვირებამ გამოიწვია ლოჯისტიკური ხარჯების გაძვირება და საშუალოდ 800 დოლარად თუ იქნებოდა შესაძლებელი შეგვეძინა 1კვ.მ უძრავი ქონება, ეს ფასი მოგვეჩვენება სასაცილოდ უახლოეს ორ თვეში.

– სადამდე უნდა ველოდოთ ფასის ზრდას?

– 1.300 დოლარი და ზევით ერთი კვადრატული მეტრი.

– რუსების მასობრივად შემოსვლამაც ძალიან შეუწყო ხელი სამშენებლო ბიზნესის და ზოგადად უძრავი ქონების გაძვირებასო. ბინებზე ფასებმა ძალიან მოიმატა.

– არავინ არ შემოდის, ეს სისულელე და ბლეფია! ვისაც ფული და სხვა რესურსები აქვს, ის ხალხი წავიდა და თავის აქტივები გაიტანეს ევროპაში და მათთვის სასურველ ადგილზე. საქართველო ვინც გამოიყენა, გამოიყენა იმ კუთხით, რომ აქ შემოიტანეს თავიანთი აქტივები, რომელიც აქ „გაანაღდეს“ და ფული წაიღეს უკან. რეალურად საქართველო გამოიყენეს ამისთვის. მეტი საქმე არ ჰქონდათ, ფული აქ დაეხარჯათ. ასე რომ, არავინ არ დაიჯეროს ეგ, თითქოს აქ ჩამოდიან, ჩამოაქვთ თავიანთი ფული, აქ ხარჯავენ და აქ ხსნიან ბიზნესებს. ეგრე არ ხდება!

– ანუ ტყუილად იყო ატეხილი ამხელა აჟიოტაჟი?

– ნამდვილად ასეა. შემოვიდნენ, ფული „გაქეშეს“ და გავიდნენ.

– საწვავის ფასი ახსენეთ და კიდევ გაიზრდება?

– საწვავის ფასი იქნება 4,50 ლარი და ზევით. საშუალოდ ამ ნიშნულზე გაჩერდება და ეს ფასი დაიჭერს დაახლოებით მაისამდე. მერე ვნახოთ, ახალი ვაჭრობა და ახალი ფასები როგორ დაჯდება.

– საწვავის ფასზეა მიბმული ყველაფერი. თუ საწვავი ძვირდება, ძვირდება ყველაფერი.

– საქართველოში არსებული ეკონომიკის 91% სწორედ საწვავის ფასზეა მიბმული. ეს ყველაფერზე აისახება. ყველაფერი გაძვირდება. პურის ტრანსპორტირება რომ გაძვირდება, პურის ფასიც მოიმატებს. ეს მარტივია ძალიან.

– რას იტყვი ლარზე?

– ლარი არის ჯერჯერობით ხელოვნურად გამყარებული. ეს არის ბოლო ვაჭრობის შედეგად, რომელიც ეროვნულმა ბანკმა შემოაგდო, 50 მილიონი გაიტანა ბაზარზე. მსხვილი იმპორტიორები ამ დოლარს აიღებენ, გაიტანენ ახალი პროდუქციის შემოსატანად და მალე, დაახლოებით ათ კალენდარულ დღეში, ლარი დაიწყებს გაუფასურებას. ნებისმიერ შემთხვევაში ასე იქნება.

მინისტრი ბრეგაძე: „საქმე „სააკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ სტრასბურში არსებით ეტაპზე გადადის“

იუსტიციის მინისტრის, რატი ბრეგაძის განცხადებით, საქმე „სააკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, სტრასბურის სასამართლოში განხილვის არსებით ეტაპზე გადადის.

მინისტრის თქმით, საქმეში, რომელიც ვალერი გელაშვილის ეპიზოდსა და სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდებულების შეწყალებას გულისხმობს, საქართველოს ძალიან მყარი არგუმენტები აქვს.

– იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო სასამართლოებში, შესაბამისად, ბუნებრივია, ამ დავაშიც იუსტიციის სამინისტრო არის ჩართული. რაც შეეხება საქმეს, „სააკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ ის გადადის განხილვის არსებით ეტაპზე, საქართველოს არგუმენტები ამ საქმეში ძალიან მყარია და, ბუნებრივია, ჩვენ საბოლოო კომენტარების გაკეთება შეგვეძლება მას შემდეგ, რაც საქმეზე დასრულდება არსებითი განხილვა.

რაც შეეხება გადაწყვეტილების მიღებას და შემდეგ მის გამოქვეყნებას, ამის შესახებ ჩვენ ინფორმაცია არ გვაქვს, აქ არ არის მკაცრად წინასწარ გაწერილი ვადები, ამაზე გადაწყვეტილებას, რა თქმა უნდა, მიიღებს სასამართლო. მას შემდეგ, რაც საქმეზე იქნება გადაწყვეტილება, შემდეგში ჩვენც გავაკეთებთ ამასთან დაკავშირებით კომენტარს.

ნებისმიერი საქმის განხილვას აქვს სხვადასხვა ეტაპები, ჯერ განიხილება მისაღებობა, შემდეგში საქმე განხილვის არსებით ეტაპზე გადადის და შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება, ეს არის სამართლებრივი პროცესის ერთ-ერთი ნაწილი.

ორი საქმეა, ეს შეეხება გელაშვილის ეპიზოდს და გირგვლიანის მკვლელების შეწყალებას. სარჩელი იყო მიღებული, წარმოება მიმდინარეობდა და გადადის განხილვის არსებით ეტაპზე.

როგორც მოგახსენეთ, „სააკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, მიმდინარე საქმეა და ჩვენი მხრიდან რაიმე სახის მოლოდინებზე საუბარი არ იქნება კორექტული, თუმცა, საქართველოს ძალიან მყარი არგუმენტები აქვს, რითაც საკუთარ პოზიციებს ასაბუთებს, – განაცხადა ბრეგაძემ.

„პუტინი გაძლებაზეა, ამერიკამ რეალური სანქციები უნდა დაუწესოს!“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– რა მოლოდინები გაქვთ, რით შეიძლება დასრულდეს ეს ყველაფერი? დღეს უკრაინის გამძლეობაზეა ბევრი რამ დამოკიდებული. ხომ ასეა?

– რა თქმა უნდა, აბსოლუტურად! ასევე აქ არის რამდენიმე დაშვება, დღეს ზელენსკიმ ძალიან არადიპლომატიურ ენაზე გააკეთა განცხადება, არადამახასიათებელი ევროპული დიპლომატიისთვის და ყოველგვარი ფარისევლობის გარეშე, პირდაპირ აჯახა, რომ ამ სამიტებზე ვნახავთ, ვინ არის ჩვენი მეგობარი, ვინ არის ჩვენი პარტნიორი და ვინ გაიყიდა და გვიღალატა! ასე პირდაპირ დააჯახა ევროპას. მართლაც გამოჩნდება, ვინ რა არის. ძალიან ცუდად იქცევა ჰოლანდია და ესეც უნდა ვთქვათ. ევროპის ქვეყნების ძალიან დიდი ნაწილი უკრაინის გვერდით დგანან, აძლიერებენ შეიარაღებით. ევროპას დიდი ძალა აქვს და ეს ამ პროცესებმაც აჩვენა. ევროპამ მაქსიმუმი გააკეთა, ახლა ამერიკა უნდა ჩაერთოს მთელი ძალებით, ის უფრო ზედაპირულადაა ჩართული. ბანკებს დავუწესეთ სანქციებიო და მე მკითხონ, გადასარევად ოპერირებს ვითიბი რუსეთში თავისი შვილობილი ბანკებიდან. დღეს პუტინი გაძლებაზეა, თუ ამერიკა რეალურ სანქციებს არ დააწესებს, კიდევ დიდხანს გაძლებს. ტექნოლოგიური თვალსაზრისით უფრო მეტი შეზღუდვები უნდა დაუწესონ. სწორედ მაშინ ვნახავთ, როგორი სერიოზული პრობლემები შეექმნება რუსეთს და უკანაც დაიხევს.

„მივმართავთ ხელისუფლებას, გამოააშკარავეთ რუსეთის სპეცსამსახურებთან დაკავშირებული პარტიები“

გიორგი გაჩეჩილაძე: „როგორ შეიძლება ასეთ ქვეყანაში რუსული მე-5 კოლონა თავისუფლად პარპაშებდეს და რუსული პარტიები სოკოებივით იზრდებოდნენ?“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი და მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე პასუხობს.

– ბატონო გიორგი, თქვენ მიმართავთ ხელისუფლებას, ოკუპანტებთან დაკავშირებული პარტიებისა და მედიის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნოს. ეს აზრი რამ გაგიჩინათ?

– ეს აზრი ახლა არ დამბადებია. რაც პოლიტიკაში ვარ, სულ ვცდილობ, საქართველოში ჩამოყალიბდეს ნორმალური, საღი, პატრიოტული მიმართულების, დასავლური ორიენტაციის პოლიტიკური სპექტრი. ამისთვის აუცილებელია, საზოგადოებამ იცოდეს, ვინ სად არის. იმით კი არა, ვინ რას ლაპარაკობს, შეიძლება ბევრი რაღაც თქვა, მაგრამ სხვა რამ აკეთო. ამიტომ მნიშვნელოვანია, საზოგადოება ინფორმირებული იყოს, სინამდვილეში ვინ რას წარმოადგენს.

– ანუ გინდათ, პოლიტიკური სპექტრის ლუსტრაცია მოხდეს?

– მთელი ჩემი ცხოვრება, მთელი ჩემი საქმიანობა (განსაკუთრებით 2002 წლის შემდეგ, როცა სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა) ნაცმოძრაობისა და სხვა პოლიტიკური ძალების ლუსტრაციას ემსახურებოდა, რომლებიც გარე ძალების დახმარებით, საქართველოში ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედებდნენ. თუმცა, ვერასოდეს მივაღწიე იმას, რომ ოფიციალურად ხელისუფლებამ განაცხადოს, ვინ არის დაკავშირებული უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან.

– ამას ლუსტრაციის კანონის მიღება არ სჭირდება?

– ლუსტრაციის კანონი, რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ აქ კიდევ სხვა რამ არის – გულწრფელად უნდა ვთქვათ, მიუხედავად იმისა, დღევანდელი „ქართული ოცნება“ 24-საათიან რეჟიმში იმეორებს იმას, რასაც მე ვამბობ (სხვათა შორის, ის არგუმენტები, რომელსაც წარმოადგენენ, უმეტესობა ჩემი მოძიებულია), რეაგირება არ ხდება. ახლაც აცხადებენ, რომ მე-5 კოლონა, ანუ აგენტურა მოქმედებს (მე-5 კოლონა აგენტურას ნიშნავს), რომელიც ცდილობს, საქართველო ომში ჩაითრიოს, რასაც ვეთანხმები.

– რატომ ეთანხმებით?

– იმიტომ, რომ პროცესს ვაკვირდები. სხვადასხვა ჯგუფებიდან (მათ შორის ნაცმოძრაობიდან, რომელიც ამ თემის ლიდერია) მცდელობებია, რუსეთს მისცენ საბაბი, რომ საქართველოს წინააღმდეგ რაღაც მოქმედებები დაიწყოს.

– რა მოქმედებები შეიძლება დაიწყოს?

– სამხედრო მოქმედებები თუ სანქცირება დაიწყოს, ყოველ შემთხვევაში, მცდელობებია, როგორმე საქართველოს ხელისუფლებამ ისე იმოქმედოს, რომ დღევანდელ ურთულეს ვითარებაში რუსეთი გამოიწვიოს. ეს დღეს რუსეთისთვის ძალიან სერიოზული საკითხია.

– რას გულისხმობთ?

– ახლა რუსეთს კატასტროფული პრობლემები აქვს. ყველა შემთხვევაში რუსეთისთვის საქართველო და კავკასიის რეგიონი ძალიან პრობლემატურია.

– როგორ?

– რუსეთს უბლოკავებ ენერგორესურსებს, გაუჩერეს „ჩრდილოეთ-ნაკადი-2“, ახლა საუბარია, საერთოდ, რუსეთის გაზსა და ნავთობზე უარის თქმაზე. ამას აშშ ამბობს და სხვა წყაროების იმედი აქვს.

– სხვა რა წყაროების იმედი აქვს?

– აშშ-ს და ევროპას სხვა ენერგორესურსების წყაროების იმედი აქვთ. თუ რუსეთს უარს ეტყვიან გაზსა და ნავთობზე, სხვა წყაროები ხომ დასჭირდებათ, სხვა, არარუსული წყაროებიდან მომარაგებისთვის. ერთ-ერთი, სერიოზული მომარაგების საშუალება კავკასიური დერეფანია, საიდანაც, ევროკავშირში ნავთობი ახლაც მიდის.

ამიტომ ეს რუსეთისთვის ძალიან პრობლემატურია. ბუნებრივია, რუსეთი ახლა საქართველოს მხრიდან ელოდება ისეთ მოტივაციას, რომ ეს დერეფანი ჩაკეტოს. ამ ფონზე ყოვლად დაუშვებელია ქვეყანაში რუსეთზე მომუშავე პარტიებისა და ჯგუფების არსებობა. თუ სახელმწიფო სახელმწიფოა, ასეთი საფრთხეები თავიდან უნდა აიცილოს.

პარალელურად, ეს საფრთხეები ჩვენი მოგონილი ხომ არ არის. მოვუსმინოთ ნატოსა და ევროკავშირის ლიდერების განცხადებებს, რომლებიც ამბობენ, რომ საქართველოც საფრთხის წინაშეა, რაც იმას ნიშნავს, რომ რეალურ საფრთხეს გულისხმობენ.

როგორ შეიძლება ასეთ ქვეყანაში რუსული მე-5 კოლონა თავისუფლად პარპაშებდეს და რუსული პარტიები სოკოებივით იზრდებოდნენ?

– კონკრეტულად შეგიძლიათ თქვათ, რომელი პარტიებია?

– მე არ დავასახელებ, რადგან განცხადება გავაკეთე და ხელისუფლებას მოვთხოვე, გამოაქვეყნოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია. ამას დოკუმენტური მტკიცებულება სჭირდება. არა მგონია, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურებს ამის დოკუმენტური მტკიცებულებები არ ჰქონდეთ.

– როგორ წარმოგიდგენია ინფორმაციის გამოქვეყნება?

– თუ სახელმწიფო სახელმწიფოა და მას აქვს უსაფრთხოების სისტემა, შესაბამისი მასალებიც უნდა ჰქონდეს და არსებული დოკუმენტური მასალა უნდა გამოაქვეყნოს. რუსეთი ევროპის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ხელს უწყობდა და აფინანსებდა მის მომხრე პოლიტიკურ ორგანიზაციებს, ბევრგან მოახერხა კიდეც თავისი ხალხის გაყვანა, ზოგი პარლამენტის წევრი გახდა და ზოგიც – გავლენიანი სუბიექტი.

იმაზეც იყო საუბარი, რომ რუსეთი აშშ-ის არჩევნებშიც ერეოდა. დედამიწის ზურგზე ვინ დაიჯერებს, რომ რუსეთი არ მოქმედებს საქართველოში, ისეთ სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონში, სადაც მისი საწინააღმდეგო ალტერნატიული ენერგომარშრუტები, აბრეშუმის გზა გადის. კიდევ ათასი რაღაც არის, რაც რუსეთისთვის მტკივნეულია.

ამიტომ ყველამ კატეგორიულად უნდა მოვითხოვოთ, გამოქვეყნდეს იმ პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის შესახებ ინფორმაცია, რომელიც შეფარულ პროპაგანდას ეწევა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის გამწვავებასთან დაკავშირებით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილია.

– ამის განსახორციელებლად საკანონმდებლო ცვლილება, ან სასამართლო წესით ქმედებები ხომ არ სჭირდება? ისე, უკრაინამაც შეაჩერა პოლიტიკური პარტიების მოქმედება.

– დიახ, უკრაინამ შეაჩერა რუსეთთან დაკავშირებული პოლიტიკური პარტიების მოქმედება. იგულისხმება რუსეთის სპეცსამსახურებთან დაკავშირებული პარტიები.

ჩვენს კანონმდებლობაში ყველაფერი გაწერილია. მათ შესახებ სისხლის სამართლის კოდექსში სპეციალური მუხლებია, ვინც ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედებს. კონსტიტუციაში არის მუხლი (რომელიც პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნასა და გაუქმებას ეხება), სადაც პირდაპირ წერია, რომ საქართველოში არ შეიძლება ისეთი პოლიტიკური პარტიების არსებობა, რომელიც სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებს, ანუ რუსეთზე მომუშავე პარტიების არსებობით კონსტიტუცია ირღვევა.

– აი, მაგალითად, „პატრიოტთა ალიანსმა“ პუტინს წერილი რომ გაუგზავნა, ჩვენ არ ვემხრობით საქართველოს ნატოში გაწევრიანებას და ა.შ. ეს ქმედება კონსტიტუციას შეესაბამება?

– ეგ შესაბამისმა სამსახურმა უნდა განიხილოს. მე იურისტი არ ვარ, ამ კუთხით ვერ შევაფასებ, მაგრამ, ამის გაკეთება როგორ შეიძლებოდა. ყველაფერი იურიდიულად უნდა შეფასდეს. არა მარტო ასეთი განცხადებებია მიუღებელი, არამედ საქართველოს ტელევიზიების მხრიდან პირდაპირი პროპაგანდა. ყველაფერს კადრულობენ იმისათვის, რომ რუსეთი პირდაპირ საქართველოში შემოსასვლელად გამოიწვიონ და საქართველო უბედურებაში ჩაითრიონ.

პუტინი იმდენად მძიმე მდგომარეობაშია, შეიძლება ყველაფერი იკადროს, ყველაფერი გააკეთოს. საკუთარ სახელმწიფოს რას უშვრება, მსოფლიო ხედავს. ამას ჰქვია ნერონის დეკრეტი.

– ნერონი? რომი რომ გადაწვა?

– დიახ, ნერონმა საკუთარი ქვეყანა ხომ გადაწვა, ჰიტლერმაც იგივე გააკეთა. როდესაც ბერლინში ჰიტლერის დასაპატიმრებლად ჯარი შევიდა, ჰიტლერმა გამოსცა დეკრეტი და გერმანიის ჯარს დაავალა, გერმანია გაენადგურებინათ თავისი კულტურული მემკვიდრეობით და ყველაფრით. ამას ჰიტლერის შემდეგ ნერონის დეკრეტი დაერქვა.

ახლა პუტინიც იგივე მდგომარეობაშია. ამიტომ ეს არანორმალური ადამიანი, რომელმაც საქმე მის არსებობა-არარსებობის ზღვარზე მიიყვანა, მის მიერ ჩადენილი დანაშაულობების გამო, რას იზამს, არავინ იცის. დასავლეთი შეშფოთებულია, ბირთვული იარაღი არ გამოიყენოს. ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებაზე უამრავი განცხადება კეთდება.

პუტინი უკრაინაში საერთაშორისოდ აკრძალულ იარაღსაც იყენებს. ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და ბირთვული იარაღის გამოყენება დარჩა. არავინაა დაზღვეული, ასეთ მდგომარეობაში მყოფი – ნახევრად შეშლილი ადამიანი რას იზამს, როდესაც საბოლოოდ მიხვდება, რომ განწირულია.

არ მესმის, ასეთ ვითარებაში ოკუპანტის დასაყრდენი პარტიებისა და ჯგუფების არსებობა ქვეყნისთვის რა უსაფრთხოების სისტემაა, რა, ქვეყანაში პარტიები გამოილია?!

– მაინც ვის გულისხმობთ?

– ეს მათ გამოიძიონ. ჩვენ სიტუაცია დავძარით და ვითხოვთ სპეცსამსახურებში არსებული ოფიციალური მასალების გამოქვეყნებას, საქართველოში მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია საიდან ფინანსდებიან და რუსეთის სპეცსამსახურებთან რა კავშირები აქვთ. ჩვენ ეს გვაინტერესებს. ამ ინფორმაციის გამოქვეყნებას, შემდეგ კანონის ამოქმედება, პარტიების ლიკვიდაცია და სხვა ღონისძიებები მოჰყვება. თუ ახლა ეს არ გაკეთდა, შემდეგ ძალიან გვიან იქნება.

– ისე, ეჭვი გაქვთ, რომ საქართველოში რუსეთთან და მის სპეცსამსახურებთან მოთანამშრომლე პარტიები არსებობენ.

– წარმოუდგენელია, არ არსებობდნენ. ვინც პოლიტიკურ სიტუაციას თვალს ადევნებს, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ასეთი არაერთი ჯგუფია.

– ბოლო დროს ბევრი ახალი ჯგუფი გაჩნდა.

– ეგეც კიდევ ახალი უბედურებაა. მაშინ, როდესაც სუფთა ევროპული მიმართულების მწვანეთა პარტია, რომელიც ევროპის მწვანეთა პარტიის დამფუძნებელი და მმართველი საბჭოს წევრია, მთელი ცხოვრება იბრძოდა, რომ (ჟვანიას აღარ მოვიყვან მაგალითად, რა როლი აქვს შესრულებული ევროსაბჭოში გაწევრიანებაზე), საქართველო როგორმე ევროკავშირში შესულიყო, ბლოკავენ.

– ვინ ბლოკავს?

– მედია. აპიარებენ მას, რომელიც, შეიძლება, ქვეყნისთვის საფრთხის შემცველი იყოს. ეს რა პოლიტიკა და რა ლოგიკაა, თუ ვინმე ამიხსნის, ძალიან მადლობელი ვიქნები.

– რატომ გიჩნდებათ ეჭვი, რომ გბლოკავენ?

– იმიტომ, რომ „ახალი თაობის“ მეტი არავინ გვწყალობს. ფეისბუქზე შედიან, ნახულობენ ჩემ მიერ დადებულ ინფორმაციას, იქიდან იპარავენ, მე კი არ მიკავშირდებიან. ამის იდეალური მაგალითი იყო დეკანოიძის ჩართვა უკრაინულ ტელევიზიაში, რომელიც პირველმა მე გამოვაქვეყნე თავისი კომენტარებით. მერე ეს ინფორმაცია მოიპარეს, აიტაცეს და თვითონ დაიბრალეს.

„რუსეთის იმპერიული პოლიტიკა მხოლოდ პუტინის ჩამოცილებით ვერ შეიცვლება“

ფინელი ექსპერტი მოშესი: „პუტინი უკრაინაში გეგმა „ბ“-ს ახორციელებს, რასაც მოჰყვება მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში“

მარიამ მჭედლიშვილი

აგრესორი რუსეთის იერიშები უკრაინაში გრძელდება. საომარი მოქმედებების სწრაფად დასრულებას სხვადასხვა ქვეყნის ანალიტიკოსები ჯერ არ ელიან. გამონაკლისს შეადგენენ ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის ექსპერტები. მათი ხედვით, უძლეველმა კრემლმა დაამარცხა უკრაინა და რუსეთი მსოფლიოში წამყვანი სახელმწიფო ხდება.

ამჟამად აფხაზეთისა და ცხინვალის საოკუპაციო მმართველობის ლიდერები კრემლში მართავენ შეხვედრებს. დიდი ალბათობით, პუტინი ამ ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობით თავისი არმიის შევსებას ცდილობს. აფხაზეთის პარლამენტმა დაიწყო კანონის მიღება, რომლითაც აფხაზეთის მოქალაქეობა და „აფხაზობა“ აღუდგებოდათ იქაურ ქართველებს. თუმცა, მეორე დღეს ეს პროექტი გაუქმდა. არ არის გამორიცხული, ეს უკრაინის მოვლენებს უკავშირდებოდეს.

„ახალი თაობა“ გთავაზობთ ფინელი ანალიტიკოსის მოშესის შეფასებებს უკრაინასა და რუსეთში მიმდინარე მოვლენებზე. **არკადი მოშესმა** ინტერვიუ ფინურ მედიას მისცა

– არავის ეგონა, რომ ომი უკრაინაში ამდენი ხანი გაგრძელდებოდა.

– ვფიქრობ, არავის ეგონა, რომ უკრაინაში იქნებოდა ასეთი სერიოზული დაპირისპირება. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ჯარები აღმოჩნდებოდნენ იმ ხაზებზე, სადაც ამჟამად იმყოფებიან. მეორე დიდი სიურპრიზი აღმოჩნდა მძლავრი ეკონომიკური და საზოგადოებრივი მხარდაჭერა უკრაინისადმი. სამწუხაროა, რომ ეს სოლიდარობა ფერმკრთალდება.

– რა პრობლემები იკვეთება?

– დასავლეთი დღეს გარკვეულ ჩიხში აღმოჩნდა: ეკონომიკური სანქციები გააზრებული იყო, მაგრამ რა უნდა გაკეთდეს შემდგომ, ეს უკრაინის მოკავშირეებმა ჯერ კარგად არ იციან. საუბარია უკრაინის სამხედრო და პოლიტიკურ დახმარებაზე. გაურკვეველია, როგორ უნდა მოექცნენ იმ კომპანიებსა და პოლიტიკოსებს, რომლებიც აგრძელებენ ურთიერთობას რუსეთთან. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ ვიმყოფებით კონფლიქტის საწყის ეტაპზე. მშვიდობიანი მოლაპარაკებებით საკითხის სწრაფად მოწესრიგების იმედი არ ჩანს. საუბედუროდ, ხალხი კიდევ დაიღუპება.

– რუსეთს ბლიცკრიგი არ გამოუვიდა?

– რუსეთს კიევის დაკავების მიზნით მოფიქრებული ბლიცკრიგი ჩაუვარდა. ეს აიძულებს რუსეთის ხელისუფლებას, აამოქმედოს დამხმარე სცენარები, გეგმა „ბ“. ამასთან დაკავშირებულია დიდი მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში. ეს არის სირიული ვარიანტის რეალიზაცია – ქალაქების მასობრივი დაბომბვები, მორალური ზემოქმედება ჯარზე, სამოქალაქო პირების განადგურება. ეს იწვევს ლტოლვილებთან დაკავშირებულ კრიზისს ევროპაში და სხვა პრობლემებს.

– რუსეთის მიზანია დათმობის იძულება?

– გეგმა „ბ“-ს მეშვეობით რუსეთი ცდილობს, აიძულოს უკრაინა და მისი მოკავშირეები, სწრაფად გააფორმონ ზავი – პირობითად „მინსკი 3“. ეს აღქმული იქნება, როგორც უფრო დიდი წარმატება, ვიდრე სერიოზული სტაბილური მშვიდობა მომავალში. რუსეთს ჰგონია, რომ დრო მის სასარგებლოდ მუშაობს. მისი ხედვით, დაბომბვები და ჯარის გამაგრება ამა თუ იმ პოზიციაზე გამოიწვევს დათმობას უკრაინისა და მისი დასავლელი პარტნიორების მხრიდან.

– უკრაინის მოვლენები აისახა ქვეყნების ეკონომიკაზე.

– ევროკავშირში ძვირდება ენერგომატარებლები, საკვები პროდუქტები. რუსეთში რუბლის კურსი მკვეთრად დაეცა. იქ გაჩერდა საწარმოები. გაჩნდა ბევრი საქონლის დეფიციტი. ისეთი განცდაა, თითქოს დასავლეთი და კრემლი აწყობენ თამაშს ამტანობასა და გადარჩენაზე – ვისი ეკონომიკა გაძლებს. ასეთი შეჯიბრი მართლაც რომ იმართებოდეს, უეჭველია დასავლეთის გამარჯვება. აქ საუბარია სხვა რამეზე – დასავლელი პოლიტიკოსები არ აღიარებენ, რომ თვალსა და ხელს შუა გაატარეს ყირიმის ანექსია.

– ამჟამად შეცლილია დამოკიდებულება?

– ამჟამად პოლიტიკოსები რუსეთის მიმართ კარდინალურად იცვლიან პოზიციას. ხდება რუსული ენერგომატარებლების შესყიდვის სტრატეგიის გადახედვა. ნავთობის ალტერნატიულ მოწოდებას დაბრკოლებები არ ხვდება. გაზთან მიმართებით სიტუაცია რთულია. თუმცა, რუსეთზე დამოკიდებულების გაქრობა აქაც შესაძლებელია. თუ გერმანიას ექნება კონტეინერები თხევადი გაზისათვის, მაშინ შესაძლებელია ყატარიდან დიდი რაოდენობით გაზის მიღება. მაშინ 5 წელიწადში ჩვენ სხვა ეკონომიკურ პარადიგმაში ვიცხოვრებთ.

– ბევრი მიიჩნევს, რომ თუ რუსეთის სათავეში არ იქნება პუტინი, მოხერხდება რუსეთის ურთიერთობების მოგვარება უკრაინასა და დასავლეთთან.

– რუსეთში პუტინის მსგავსად ბევრი აზროვნებს. იმპერიული აზროვნებისაგან გათავისუფლება ხანგრძლივი პროცესია. ალექსეი ნავალნიც კი არ იძლევა დაპირებას, რომ ყირიმს უკრაინას დაუბრუნებს. თუ გამოჩნდება პოლიტიკოსი, რომელიც ასეთ დაპირებას გასცემს და თუ ის არჩევნებსაც მოიგებს, მაშინ შესაძლებელია ცვლილებები. რეალობა ასეთია – რუსეთმა მე-20 საუკუნის საგარეო პოლიტიკის პარადიგმიდან გადააბიჯა მე-19 საუკუნეში. მე-19 საუკუნიდან რომ მოხვდე 21-ე საუკუნეში, არ არის საკმარისი ერთი თანამედროვე ლიდერის გამოჩენა.

ფოთში ახალგაზრდა მამაკაცი უროთი მოკლეს

მკვლელობა მოხდა ფოთში – კაკულიას ქუჩაზე 30 წლამდე კაცი ურووთი მოკლეს.

შემთხვევას წინ შელაპარაკება უძღოდა.

ირკვევა, რომ მკვლელობაში ბრალდებული და გარდაცვლილი მეზობლები იყვნენ. ისინი გვიან ღამით სუფრაზე იმყოფებოდნენ, სადაც არაფხიზელ მდგომარეობაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

მოგვიანებით, ბრალდებულმა მოკლულს სახლში მიაკითხა და ურო თავში ჩაარტყა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის და ფოთის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული რ.გ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ნაცნობს – 1992 წელს დაბადებულ კ.ხ.-ს, მისსავე საცხოვრებელ სახლში, თავის არეში ბლაგვი საგნის გამოყენებით დაზიანება მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. კ.ხ. მიყენებული დაზიანების შედეგად გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა დანაშაულში ბრალდებული პირი მომხდარიდან რამდენიმე წუთში, ფოთში დააკავეს. პოლიციამ შემთხვევის ადგილიდან დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო“ – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.

პროკურორი იაკობიძე: „მოწმემ თქვა, რომ ლაშქარავას სახეზე დაზიანება ჰქონდა“

– დაკითხული მოწმის ჩვენებით, მას არ გაუგონია ხმები, რომლებიც ბრალდების მხარემ ნივთიერი მტკიცებულებების დროს სასამართლო პროცესზე წარმოადგინა და რომლებშიც აქციის მონაწილეების მხრიდან შეურაცხმყოფელი შეძახილები ისმის ჟურნალისტების მიმართ.

ამის შესახებ ჟურნალისტების მიმართ განხორციელებულ ძალადობაში ბრალდებულების საქმის პროკურორმა თამარ იაკობიძემ განაცხადა.

23 მარტის სასამართლო პროცესზე დაცვის მხარის ერთი მოწმე დაიკითხა, რომელიც აქციის მონაწილეთაგან ერთ-ერთია და „სირცხვილიას“ ოფისში სხვებთან ერთად იმყოფებოდა.

– აღნიშნული მოწმის ჩვენება ბრალდების მხარის მიერ შეფასდება დასკვნით სიტყვაში. ძალიან მნიშვნელოვანი გარემოებები არის ის, რომ „სირცხვილიას“ შენობაში მოძალადეები შუშის ჩამტვრევით შევიდნენ. ეს მოწმეს არ დაუნახავს, ასევე არ გაუგონია ხმები, რომლებიც ბრალდების მხარემ ნივთიერი მტკიცებულებების დროს სასამართლო პროცესზე წარმოადგინა და იქ ისმის შეურაცხმყოფელი შეძახილები აქციის მონაწილეების მხრიდან ჟურნალისტების მიმართ.

ამ დეტალებზე მოწმემ განაცხადა, რომ არ ესმოდა და მშვიდობიანი მსვლელობა, ხალხმრავლობა იყო და ესმოდა მხოლოდ გინება ჟურნალისტების მხრიდან. რა თქმა უნდა, ამ მოწმის სანდოობას და მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ბრალდების მხარე დასკვნით სიტყვაში შეაფასებს, ვინაიდან აღნიშნული მოწმის მიერ მიცემული ჩვენების საპირისპირო ვიდეომტკიცებულებებია გამოკვლეული.

საქმეში არსებული მტკიცებულებებით, მოწმე, რომელიც დაიკითხა, ნამდვილად იმყოფებოდა „სირცხვილიას“ ოფისში, ეს მოწმე აქციის სხვა მონაწილეს, რომელმაც ჩაამსხვრია შესასვლელი შუშის კარი, ხელები ჰქონდა გაჭრილი, ხელის შეხვევაში ეხმარებოდა.

ეს კადრი ალექსანდრე ლაშქარავას დაფიქსირებული აქვს იმ 43 წამის მანძილზე, რისი გადაღებაც შეძლო, აღნიშნულის შემდეგ მისი კამერა დაამტვრიეს. მოწმემ სიტყვა შეხლა-შემოხლა ახსენა და თქვა, რომ ლაშქარავას სახეზე რაღაც დაზიანება ჰქონდა.

სინამდვილეში, ლექსო ლაშქარავას სახეზე რა დაზიანებაც ჰქონდა, კადრები არსებობს, ასევე არსებობს შემთხვევის ადგილისა და იმ კამერის კადრები, რომელიც ნაწილებად დაშალეს მოძალადეებმა, – განაცხადა პროკურორმა იაკობიძემ.

გუდაური-კობის მონაკვეთზე მოძრაობა აკრძალულია

გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით, საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე ზვავსაშიშროების საფრთხის დონე მაღალია, რის გამოც აღნიშნულ მონაკვეთზე აკრძალულია ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა.

გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით, მლეთა-გუდაურის მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა განხორციელდება გაუჩერებლად გავლის რეჟიმში.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი მოუწოდებს მოსახლეობას, იმოძრაონ გამართული ავტოტრანსპორტით და დაემორჩილონ საავტომობილო გზებზე დაწესებულ რეჟიმებს.

ინფორმაციას საავტომობილო გზების დეპარტამენტი ავრცელებს.

თელავში სახლში გაზი აფეთქდა

თელავში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე, საცხოვრებელი სახლში აფეთქება მოხდა. მიზეზი, სავარაუდოდ, ბუნებრივი აირია.

აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ ჩამოინგრა საცხოვრებელი სახლის სახურავი, ჩაიმსხვრა ფანჯრები, ასევე, დაზიანდა გვერდით მდებარე სახლი და ქუჩაში მდგარი ავტომანქანა.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ სამაშველო ჯგუფები, სასწრაფო დახმარების და პოლიციის ეკიპაჟები.

აფეთქების შედეგად მსუბუქად დაშავდა შუახნის ქალი, ის სასწრაფო დახმარების ჯგუფმა თელავის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

აფეთქების ზუსტი მიზეზის დასადგენად გამოძიება მიმდინარეობს.

პროკურატურამ უკანონოდ ჩამორთმეული მიწის ნაკვეთის დაბრუნება გადაწყვიტა

მანვე ყოფილი მსჯავრდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის გადაწყვეტილება მიიღო

საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა სამეგრელოს რეგიონში ქონების უკანონოდ ჩამორთმევის მორიგი 2 ფაქტი გამოავლინა და დაზარალებულთა უფლებების აღდგენის მიზნით, მათთვის კუთვნილი ქონების დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო.

ინფორმაციას ამის შესახებ საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

მისივე ცნობით, ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2009-2010 წლებში, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ანაკლიის პორტის მშენებლობის დაწყების მიზნით, მოლაპარაკებას ერთ-ერთ კერძო კომპანიასთან აწარმოებდა, რომელსაც ანაკლიასა და მის მიმდებარედ პორტის მშენებლობისთვის საჭირო მიწის ფართობი უნდა გამოყოფოდა. მიწის ნაკვეთის გამოყოფასა და ინვესტორისთვის გადაცემას კი ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული მიწის ფართობის გარკვეული ნაწილი ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრებად ირიცხებოდა და ისინი შესაბამისი კომპენსაციის მიღების გარეშე საკუთრებას არ თმობდნენ.

პროკურატურის ინფორმაციითვე, პროცესის გამარტივების და მოსახლეობისთვის კომპენსაციის გაცემისგან თავის არიდების მიზნით, იმჟამინდელი ხელისუფლების ცალკეული მაღალი თანამდებობის პირების გადაწყვეტილებით, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შესაბამისმა სტრუქტურულმა დანაყოფმა, საკუთრების უფლების უხეში დარღვევით, მესაკუთრეთა ნების საწინააღმდეგოდ და მათგან ფარულად საჯარო რეესტრში ყალბი საკადასტრო ნახაზი გადაგზავნა.

აღნიშნულის საფუძველზე, 2.000 ჰა-ზე მეტი ფართობის მიწის ნაკვეთი სახელმწიფო საკუთრებაში დარეგისტრირდა. მათ შორის აღმოჩნდა ადგილობრივი მცხოვრებლების მიწის ნაკვეთებიც ისე, რომ მოსახლეობას რაიმე სახის კომპენსაცია არ მიუღია, რითაც უხეშად დაირღვა მათი საკუთრების უფლება.

„სახელმწიფოს საკუთრებაში უსაფუძვლოდ დარეგისტრირებულ ნაკვეთებს შორის მოექცა ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხამისკურში მდებარე მალხაზ სარჩიმელიას მიწის ნაკვეთი ფართობით 6.202 კვ.მ და რეზო სარჩიმელიას მიწის ნაკვეთი ფართობით 6.702 კვ.მ.

დეპარტამენტი სახელმწიფო ქონების მართვის ეროვნულ სააგენტოს მიმართავს, რათა დაზარალებულ მოქალაქეებს ამჟამად სახელმწიფო ბალანსზე არსებული აღნიშნული მიწის ნაკვეთები დაუბრუნდეთ.

რაც შეეხება ქონების უკანონოდ ჩამორთმევაში მხილებულ ყოფილ საჯარო მოხელეებს – გამოძიებასთან თანამშრომლობის ხარისხის გათვალისწინებით, პროკურატურა გამოძიების დასრულების შემდეგ მათ მიმართ შესაბამის სამართლებრივ გადაწყვეტილებას მიიღებს.

საქმეზე გამოძიება გრძელდება და აღნიშნული დანაშაულებრივი სქემით ჩამორთმეული მიწის ნაკვეთები ასევე ეტაპობრივად დაუბრუნდებათ სხვა დაზარალებულ მოქალაქეებსაც, რასთან დაკავშირებითაც პროკურატურა საზოგადოებას პერიოდულად მიაწვდის ინფორმაციას.

ასევე, სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტში ჩატარებული ხელახალი სრულყოფილი და ობიექტური გამოძიების შედეგად, ყოფილი მსჯავრდებულების – გაგი ხვედელიძის და ვასილ დავითაიას მიმართ მიღებული იქნა გადაწყვეტილება გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის შესახებ.

აღნიშნულ საქმეებზე დადგენილი და დაკითხული იქნენ ახალი მოწმეები, ჩატარდა ათეულობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, შესწავლილ იქნა საგამოძიებო და სასამართლო საქმის მასალები, მოპოვებულ იქნა ახალი მტკიცებულებები.

მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობის ანალიზის საფუძველზე, აღნიშნული პირების მიერ რაიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტი გამოირიცხა.

2006 წელს გაგი ხვედელიძე გასამართლებული იქნა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მის გამგებლობაში მყოფი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისებისა და გაფლანგვის ბრალდებით, არაერთგზის, დიდი ოდენობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით).

გაგი ხვედელიძეს, რომელიც საქართველოს კონტროლის პალატის ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა, იმჟამინდელი გამოძიება ედავებოდა 2002 წლის 1 აპრილიდან 2004 წლის 1 ივლისამდე პერიოდში 15 ხელმძღვანელ მუშაკზე 5.400 ლარის ღირებულების, 5.500 ლიტრი ბენზინის გაფლანგვას; ზ.უ.-სთან საქართველოს კონტროლის პალატის კუთვნილი ავტომანქანის გაცვლის ოპერაციით 2.865 ლარის გაფლანგვას; მოქალაქე ს.ნ.-სთან ავტომანქანის გაცვლის ოპერაციით 2.100 ლარის გაფლანგვას; 309 ლარად ღირებული ავტომანქანის მაგნიტოფონის და 209 ლარად ღირებული ფოტოაპარატ „კოდაკის“ მითვისებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 24 ივლისის განაჩენით, გაგი ხვედელიძე წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ იქნა ცნობილი და სასჯელის სახედ და ზომად 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

ახალი გამოძიების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ გაგი ხვედელიძემ ბრალად შერაცხული 5.500 ლიტრი ბენზინი სამსახურებრივ ავტომანქანებზე დასახელებულ პერიოდში სამსახურებრივი დანიშნულებით გასცა, რა მიმართულებითაც თავის დროზე გამოძიება არ ჩატარებულა. ს.ნ.-სთან ავტომანქანის გაცვლის ეპიზოდთან დაკავშირებით დადგინდა, რომ აღნიშნულ ფაქტთან მას არანაირი შემხებლობა არ ჰქონია, ვინაიდან იმ პერიოდში იგი სამსახურებრივ უფლებამოსილებას არ ასრულებდა. რაც შეეხება ზ.უ.-სთან ავტომანქანის გაცვლის ოპერაციით 2.865 ლარის გაფლანგვის ეპიზოდს, გამოძიებით დადასტურდა, რომ ავტომანქანის გაცვლა კანონის სრული დაცვით მოხდა. ასევე, სრულად გამოირიცხა გაგი ხვედელიძის ბრალეული ქმედება ფოტოაპარატ „კოდაკისა“ და ავტომანქანის მაგნიტოფონის მითვისების ეპიზოდში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩატარებული ხელახალი გამოძიების ფარგლებში დადასტურდა, რომ გაგი ხვედელიძის მიმართ გამოძიება ტენდენციურად წარიმართა და ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა არ მომხდარა. შესაბამისად, ხელახალი გამოძიების შედეგად, გაგი ხვედელიძის მხრიდან რაიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტი გამოირიცხა.

რაც შეეხება ყოფილი მსჯავრდებულის, ვასილ დავითაიას მიმართ არსებულ სისხლის სამართლის საქმეს – იგი საქართველოს შს სამინისტროს მატერიალურ ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა. 2004 წელს გასამართლებული იქნა სამსახურებრივი გულგრილობის ბრალდებით. მოხელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.

დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით.

გამოძიება ვასილ დავითაიას ედავებოდა, რომ მის მიერ სამსახურისადმი გულგრილი დამოკიდებულებით შსს მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური დეპარტამენტის კუთვნილი სპეცსახსრების ანგარიშიდან 2000 წლის განმავლობაში სხვადასხვა ანგარიშვალდებულ პირებზე შვიდ შემთხვევაში ხარჯებში 100.456 ლარი უსაფუძვლოდ ჩამოიწერა.

2004 წლის 24 ნოემბერს ვასილ დავითაიას და საქართველოს გენერალურ პროკურატურას შორის საპროცესო შეთანხმება გაფორმდა სასჯელზე გარიგებით, ბრალის აღიარების გარეშე, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 24 დეკემბრის განაჩენით დამტკიცდა. ვასილ დავითაია წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ იქნა ცნობილი და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 162 დღიური ანაზღაურებით 50 ლარის ოდენობით, სულ 8.140 ლარი.

ახალი გამოძიების პროცესში მოპოვებული მტკიცებულებებით კი დადასტურდა, რომ ანგარიშვალდებულ პირებზე (შვიდი ეპიზოდი) გაცემული ნაღდი ფულადი თანხები მიზნობრივად გაიხარჯა. ასევე დადასტურდა, რომ ვასილ დავითაიას მიმართ გამოძიება ტენდენციურად წარიმართა და ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა არ მომხდარა. შესაბამისად, ხელახალი გამოძიების შედეგად ვასილ დავითაიას მხრიდან რაიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტი გამოირიცხა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყოფილი მსჯავრდებულების მიმართ პროკურატურის მიერ გამოტანილია დადგენილებები მსჯავრდებულების უფლებების არსებითად დარღვევის შესახებ. შესაბამისად, პროკურატურა საპელაციო სასამართლოს მიმართავს, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, განაჩენების გადასინჯვის შუამდგომლობებით.

დეპარტამენტის შექმნიდან დღემდე დაზარალებულად იქნა ცნობილი 443 პირი, რომელთაგან 315 პირს პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაუბრუნდა ან/და დაბრუნების პროცესშია დაახლოებით 59.610.000 ლარის ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება.

გარდა ამისა, დეპარტამენტის მიერ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობით, სასამართლოს 112 მსჯავრდებულის საქმეზე მიემართა.

დღეის მდგომარეობით, სასამართლოს გადაწყვეტილებით 90 პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენი უკვე დამდგარია, მათგან 30 პირს საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით მინიჭებული აქვს პოლიტპატიმრის სტატუსი“ – აღნიშნულია პროკურატურის ინფორმაციაში.

პუტინის მრჩეველმა ანატოლი ჩუბაისმა რუსეთი დატოვა

პუტინის მრჩეველმა, ანატოლი ჩუბაისმა უკრაინაში რუსეთის მიერ დაწყებული ომის გამო თანამდებობა დატოვა.

აღნიშნულ ინფორმაციას ბლუმბერგი ავრცელებს.

გავლენიანი გამოცემა იუწყება, რომ რუსეთის პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში რუსეთი დატოვა.

ბლუმბერგი აღნიშნულ ინფორმაციას ორ სანდო პირზე დაყრდნობით ავრცელებს.

ბიზნესგამოცემის თანახმად, ჩუბაისმა აღნიშნული გადაწყვეტილება უკრაინაში ომის დაწყების გამო მიიღო – ჩუბაისი გახდა კრემლთან დაახლოებული უმაღლესი რანგის პირველი წარმომადგენელი, რომელიც უკრაინაში შეჭრის დროს კრემლს გაემიჯნა.

66 წლის ჩუბაისი 1990-იანი წლებიდან რუსეთის ეკონომიკური რეფორმატორებიდან ერთ-ერთია, რომელიც ვლადიმირ პუტინის მთავრობაში დარჩა და, ამავდროულად, მჭიდრო კავშირები ჰქონდა დასავლელ ოფიციალურ პირებთან.

ბლუმბერგის ცნობით, ჩუბაისი ცნობილია, როგორც გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში რუსეთში პრივატიზაციის „არქიტექტორი“.

გამოცემის თანახმად, ჩუბაისი პუტინის ხელისუფლებაში მოსვლას თავიდანვე მხარს უჭერდა.

ჯონსონმა ზელენსკი ჩერჩილს შეადარა

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი მის პოლიტიკურ გმირს, გაერთიანებული სამეფოს ყოფილ პრემიერ-მინისტრს უინსტონ ჩერჩილს შეადარა.

ინფორმაციას ბრიტანული მედია ავრცელებს.

– ვფიქრობ, პრეზიდენტმა ზელენსკიმ დაამტკიცა, რომ ის არის თავისი ხალხის საკმაოდ გამორჩეული ლიდერი – მან გააერთიანა ისინი და არის მათი ხმა, – განაცხადა რადიო ელბისისთან საუბრისას, ბრიტანეთის პრემიერმა.

– ზელენსკიმ იცის, როგორც ეს ჩერჩილმა თავის თავზე თქვა, ის შეიძლება არ იყოს ლომი, მაგრამ მას აქვს ღრიალის პრივილეგია. ლომი უკრაინელი ხალხია, მან კი გამოხატა მისი ნება და დაუმორჩილებლობის გრძნობა, – აღნიშნა ჯონსონმა.

ჯოზეფ ბორელი: „რუსეთს არ სურს, გამართოს მოლაპარაკებები“

– რუსეთის მთავრობას არ აქვს უკრაინაში მოლაპარაკებებით ცეცხლის შეწყვეტის ინტერესი, რადგან მისმა არმიამ ვერ მიაღწია დასახულ სამხედრო მიზნებს.

ამის შესახებ ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში, ჯოზეფ ბორელმა ისაუბრა.

– რუსეთს არ სურს, დაჯდეს და გამართოს მოლაპარაკებები. რაც მას სურს, ეს არის მიწების ოკუპაცია. მას სურს მოლდოვას საზღვართან სანაპიროს დაკავება და უკრაინის ზღვიდან იზოლირება. მას ენდომება მოლაპარაკებები მხოლოდ მაშინ, როდესაც ძლიერი პოზიცია გარანტირებული ექნება, – განაცხადა ბორელმა.

ბორელმა თქვა, რომ ევროკავშირი და მისი მოკავშირეები გააგრძელებენ უკრაინის არმიისთვის სამხედრო დახმარების მიწოდებას.

– ეს მნიშვნელოვანია, რადგან ყველაფერი უახლოეს 15 დღეში გადაწყდება. ის, რაც ისტორიას შექმნის, არის უკრაინელების მიერ წინააღმდეგობის გაწევის უნარი, – განაცხადა ბორელმა.

ზელენსკი ბაიდენს: „აბრამოვიჩს სანქციებს ნუ დაუწესებთ!“

ვოლოდიმირ ზელენსკიმ ჯო ბაიდენს სთხოვა, რომ რუსი ოლიგარქის რომან აბრამოვიჩის წინააღმდეგ სანქციები არ დააწესოს.

უოლ სტრიტ ჯორნელის თანახმად, აბრამოვიჩმა შესაძლოა ხელი შეუწყოს კიევსა და მოსკოვს შორის სამშვიდობო მოლაპარაკებებს.

პრეზიდენტმა ბაიდენმა კონსულტაციები გამართა უკრაინის პრეზიდენტთან რიგ სანქციებზე, მათ შორის, აბრამოვიჩისთვის დაგეგმილ სასჯელზე.

რუსებმა რადას დეპუტატი, ოლექსანდრ პონომარიოვი გაიტაცეს

უკრაინის ზაპოროჟიეს რეგიონის ქალაქ ბერდიანსკის მერიის ინფორმაციით, რუსულმა ძალებმა უკრაინის ვერხოვნა რადას დეპუტატი და ფილანთროპი ოლექსანდრ პონომარიოვი გაიტაცეს.

მერიის ცნობით, სახალხო დეპუტატი 20 მარტს შუადღით ჰუმანიტარულ დერეფნებში მუშაობდა და დევნილთა განსახლების ადგილებში ადგილობრივებს ეხმარებოდა, რის შემდეგაც მასთან კავშირი გაწყდა.

ბერდიანსკის მერია აცხადებს, რომ პონომარიოვი ახლა რუსი სამხედროების ტყვეობაშია და მისი ადგილმდებარეობისა და მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია უცნობია.

მერიის ცნობით, პონომარიოვი ბერდიანსკში ყველაზე დიდი საწარმოების დამაარსებელია. მისი გატაცების შემდეგ ქალაქის საწარმოებმა მუშაობა შეწყვიტეს და 3.000-ზე მეტი ადამიანი და მათი ოჯახები შემოსავლის გარეშე დარჩნენ.

ოკუპანტებმა უკრაინაში 6 ექიმი მოკლეს

უკრაინაში რუსებმა სასწრაფოს 58 მანქანას ცეცხლი გაუხსნეს და 6 ექიმი მოკლეს, – ინფორმაციას ამის შესახებ უნიან ნეტი ავრცელებს.

– ომმა ყველაფერი შეცვალა: გეგმები, პრიორიტეტები, მოსაზრებები. არასდროს მიფიქრია, რომ მედმუშაკებისთვის ტყვიაგაუმტარი ჟილეტების შოვნა მოგვეთხოვა, მაგრამ რუსი ტერორისტების გამო, რომლებმაც უკვე 58 სასწრაფო სამედიცინო მანქანა დაცხრილეს და 6 ექიმი მოკლეს, იძულებულნი ვართ, გავაკეთოთ ეს, – განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა ვიქტორ ლიაშკომ.

მადლენ ოლბრაიტი გარდაიცვალა

აშშ-ის პირველი ქალი სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი გარდაიცვალა.

ის 84 წლის იყო.

ოლბრაიტი იყო პრეზიდენტ ბილ კლინტონის ადმინისტრაციის ცენტრალური ფიგურა. იგი მხარს უჭერდა ნატოს გაფართოებას, უბიძგებდა ალიანსს, ჩარეულიყო ბალკანეთში გენოციდისა და ეთნიკური წმენდის შესაჩერებლად, ცდილობდა, შეემცირებინა ბირთვული იარაღის გავრცელება და მხარს უჭერდა ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიას მთელს მსოფლიოში.

ნიუ იორკ ტაიმსის სტატიაში, რომელიც გასულ თვეში რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის წინ გამოქვეყნდა, ოლბრაიტი ამტკიცებდა, რომ რუსეთის ლიდერი ვლადიმერ პუტინი „ისტორიულ შეცდომას“ დაუშვებდა უკრაინაში შეჭრისას და აფრთხილებდა მისი ქვეყნისთვის დამანგრეველი საფასურის შესახებ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მარველის უიშვიათესი კომიქსი აუქციონზე მილიონებად გაიყიდა

თავგადაკლულმა კოლექციონერმა მარველის კომიქსის პირველი გამოშვება აუქციონზე 2,4 მილიონ დოლარად იყიდა.

აუქციონზე, რომელსაც ფირმა ComicConnect-ი ატარებდა, გამოტანილი იყო ე.წ. მარველი კომიქსის პირველი გამოშვების გასაყიდი ასლი, რომელიც 1939 წელს გამოვიდა. ის განსხვავდება ჩვეულებრივი ხელნაწერი ჩანიშვნებით მისი ავტორების ჰონორარებზე, რომელიც გამომცემელმა გააკეთა. მაგალითად, მხატვარმა პ. პოლმა, რომელმაც მისი გარეკანი დახატა, ამ ჩანიშვნის თანახმად 25 დოლარი მიიღო.

ფირმა ComicConnect-ის ოპერატიულმა დირექტორმა ვინსენტ ზურზოლომ გაყიდულ ეგზემპლარს, კოლექციონერების თვალსაზრისიდან გამომდინარე, სამიდან ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი კომიქსი უწოდა. მისი მყიდველის ვინაობა საზოგადოებისთვის უცნობი დარჩა. ზურზოლოს თქმით, ის თავგადაკლულმა წიგნების კოლექციონერმა და ინვესტორმა იყიდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ქალს უსახლკარო მამაკაცი შეუყვარდა და ცოლად გაჰყვა



ქალი სუპერმარკეტთან უსახლკარო მამაკაცს შეხვდა, შეუყვარდა, მალე ცოლად გაჰყვა და მისგან ორი შვილი გააჩინა.

ჟასმინ გროგანმა გაიხსენა, რომ ერთხელ პროდუქტების შესაძენად წასულმა მაღაზიასთან უსახლკარო მამაკაცი მაკოლი მერჩი შენიშნა. მან მისი დახმარება გადაწყვიტა და ფული შესთავაზა, რაზეც უარი მიიღო.

– მაღაზიაში შევედი, პროდუქტს ვყიდულობდი და მასზე ფიქრი თავიდან არ მშორდებოდა. შემდეგ ქუჩაში გამოვედი და ვკითხე, შემეძლო თუ არა რაიმეთი მისი დახმარება, მაგრამ მან ისევ უარით მიპასუხა. შემდეგ მან მკითხა, შეიძლებოდა თუ არა ის დამხმარებოდა შეძენილი პროდუქტების ტაქსში ჩალაგებაში და მე დავეთანხმე, – გაიხსენა გროგანმა.

მადლობის ნიშნად ქალმა მერჩის საჭმელი მიუტანა, სასტუმროში ნომერი უქირავა და უბრალო მობილური ტელეფონი უყიდა. იმ დღეს ახლად გაცნობილებს ერთმანეთთან ინტენსიური მიმოწერა ჰქონდათ, ხოლო მეორე დღეს ერთად ისადილეს. რესტორნის შემდეგ გროგანმა მერჩი თავის სახლში მიიწვია, რათა მას მოეზომებინა ის ჩასაცმელები, რომელიც ქალმა მისთვის შეიძინა.

შედეგად მერჩი გროგანთან რამდენიმე წლით დარჩა.

– ჩვენ უსწრაფესად შეგვიყვარდა ერთმანეთი. ვიცოდი, რომ სწორედ ის იყო, ვინც მე მჭირდებოდა, ის ისეთი საყვარელი იყო, – აღიარა ქალმა.

გარკვეული დროის შემდეგ მერჩმა მას ხელი სთხოვა და ორი წლის ურთიერთობის შედეგად წყვილს ორი ბავშვი შეეძინა.

მამაკაცმა უცნობი პიროვნება დახრჩობას გადაარჩინა და შემდეგ მოკლა

აშშ-ში მამაკაცი, რომელმაც სხვა მამაკაცი ჯერ წყალში დახრჩობას გადაარჩინა, შემდეგ კი იმავე დღეს პისტოლეტით მოკლა, სასჯელს გადაურჩა.

გამოძიების მონაცემებით, 29 წლის ნათან დრიუ მორგანი ახლობელთან ერთად სამხრეთ კაროლინაში კეოუის ტბაზე ჰიდროციკლით სეირნობდა. ერთ მომენტში ჰიდროციკლი გადაბრუნდა და ახალგაზრდები წყალში აღმოჩნდნენ სამაშველო ჟილეტების გარეშე.

მამაკაცი, რომელმაც ეს ყოველივე შენიშნა, დასახმარებლად კატერით გაეშურა და მათ მის გემბანზე ასვლაში დაეხმარა. მოულოდნელად მორგანი გადამრჩენელს თავს დაესხა და მუშტები დაუშინა. მამაკაცი იძულებული გახდა მისთვის ხელი ეკრა და ისევ წყალში გადაეგდო. ის ახლა უკვე თვითონ აძვრა კატერზე და ისევ მუშტებით თავს დაესხა. პასუხად მამაკაცმა მას პისტოლეტიდან ესროლა და ადგილზე მოკლა.

შტატის პროკურატურამ დაადგინა, რომ მსროლელი აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მოქმედებდა და გაათავისუფლა.

– აქამდე მსგავსი არც არაფერი მინახავს და არც არაფერი მსმენია. დაუჯერებელი ისტორიაა, განსაკუთრებით ამ ადგილებისთვის. რაღაც სიგიჟე, – განაცხადა მომხდართან დაკავშირებით ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ზესტაფონის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად ვახტანგ ჯუღელი დაინიშნა

ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად რეჟისორი ვახტანგ (ვატო) ჯუღელი დაინიშნა. იგი ამ თანამდებობას „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 4 წლის ვადით დაიკავებს. შესაბამისი ბრძანება უკვე გამოიცა.

ვახტანგ ჯუღელმა განათლება სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების სახელმწიფო კოლეჯსა და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში მიიღო, დრამის მიმართულებით. სხვადასხვა წლებში მისი პედაგოგიური საქმიანობა დაკავშირებული იყო შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სადაც ის რეჟისურას და სამსახიობო ოსტატობას ასწავლიდა. ის ასევე საგანმანათლებლო საქმიანობას მოწვეული პედაგოგის რანგში ეწეოდა სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების სახელმწიფო კოლეჯში, თეატრალურ სახელოსნო „იდეაში“ და თბილისის სხვადასხვა საჯარო თუ კერძო სკოლაში. უკვე 12 წელია ვახტანგ ჯუღელი ხელმძღვანელობს კავკასიის უნივერსიტეტთან არსებულ თეატრალურ დასს, რომლის დამფუძნებელიც თავადაა.

ვახტანგ ჯუღელს სხვადასხვა წლებში დადგმული აქვს სპექტაკლები „მოგესალმებით საქართველოში“, „არალეგალები“, „განახლება“, „ნორვეგია დღეს“ სამედიცინო და კავკასიის უნივერსიტეტების თეატრალურ სცენებზე. მის მიერ დადგმულია „ნიცშე ღმერთების სასაფლაოზე“ ბათუმის თეატრში, „ჰეტეროფობია“ რუსთაველის თეატრში, „მარილი“ მოძრაობის თეატრში... ვახტანგ ჯუღელს მიღებული აქვს საერთაშორისო სტუდენტურ ფესტივალზე საპატიო წევრის წოდება და თბილისის მერიის სერტიფიკატი ბავშვთა კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.

ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის შესარჩევი კონკურსი ორჯერ გამოცხადდა. პირველად კონკურსი 22 დეკემბერს გამოცხადდა, მაგრამ ის 4 თებერვალს ჩაიშალა, რადგან პროფესიული სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატთა შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭოს სხდომაზე სამინისტროს მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან ვერც ერთმა ვერ დააგროვა ხმათა საჭირო რაოდენობა. განმეორებით კი კონკურსი 15 თებერვალს გამოცხადდა.

სამინისტროსთან არსებული პროფესიული სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატთა შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭოს დებულების თანახმად – დებულება მინისტრის ბრძანებით 6 დეკემბერს დამტკიცდა, სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატთა შესარჩევ კონკურსს აცხადებს სამინისტრო, ხოლო კანდიდატთა შესარჩევი საკონკურსო პირობები კანონმდებლობით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით განისაზღვრება. სამინისტრო, წარდგენილი კანდიდატებისგან შეარჩევს არანაკლებ 2 და არაუმეტეს 3 კანდიდატს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წარდგენილია მხოლოდ ერთი კანდიდატი. შერჩეულ კანდიდატთა სია წარედგინება სარეკომენდაციო საბჭოს, რომელიც შეარჩევს სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე დასანიშნ კანდიდატურას და კულტურის მინისტრს წარუდგენს.

სარეკომენდაციო საბჭო ვალდებულია, კანდიდატის წარდგინებიდან 1 თვის ვადაში მინისტრს თავისი რეკომენდაცია წარუდგინოს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

შავი ლომი ორი ტურნირისთვის ემზადება

ქართული ფრენჩაიზის, შავი ლომის ირგვლივ ორი ამბავია.

პირველი ის, რომ რაგბი ევროპის სუპერთასის ნახევარფინალურ მატჩში, შავი ლომი ესპანურ იბერიანზს 17 აპრილს უმასპინძლებს.

როგორც იცით, რაგბი ევროპის სუპერთასი პირველად ტარდება და 8 გუნდმა მიიღო მონაწილეობა. 2021 წლის სექტემბრიდან დეკემბრამდე დასავლეთ და აღმოსავლეთ კონფერენციებში ჯგუფური ეტაპის შეხვედრები გაიმართა. შავმა ლომმა 5-დან 4 თამაში მოიგო და ჯგუფში 1 ადგილი დაიკავა.

მას შემდეგ, რაც მსოფლიო რაგბმა და რაგბი ევროპამ რუსული გუნდები ყველა ტურნირიდან მოკვეთა, აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-2 ადგილი თელავივ ჰითს ერგო.

შედეგად, ნახევარფინალში, 16 აპრილს, დასავლეთ კონფერენციის გამარჯვებული, პორტუგალიური ლუზიტანუში ჰითს ლისაბონში დაუხვდება, მე-2 კი, შავი ლომი დასავლეთ კონფერენციის მეორეადგილოსან იბერიანზს მიიღებს.

სუპერ თასის ფინალური შეხვედრა 7, ან 8 მაისს უკეთესი შედეგის მქონე გუნდის მოედანზე გაიმართება.

მეორე და უფრო ნაადრევი: შავი ლომი ხვალ სამხრეთ აფრიკული ქარი ქაფის გათამაშებაში ჩაერთვება და სადებიუტო შეხვედრას კენიის სიმბასის წინააღმდეგ გამართავს.

ჩვენი გუნდი აფრიკაში 23-კაციანი შემადგენლობით 18 მარტს გაემგზავრა. მოგვიანებით კი, სამხრეთისკენ გეზი კიდევ 8 მორაგბემ აიღო: ნიკა აბულაძე, ნოდარ ჭეიშვილი, ლაშა ჯაიანი, ლუკა ივანიშვილი, სანდრო მამამთავრიშვილი, გიორგი ბაბუნაშვილი, დემურ თაფლაძე და მირიან მოდებაძე საქართველოს ნაკრებთან ერთად ესპანეთთან მატჩისთვის ემზადებოდნენ და შავ ლომს 2022 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის მოგების შემდეგ შეუერთდნენ.

მომავალი თამაშისთვის ემზადება სიმბასიც, რომელმაც ქარი ქაფის პირველ დივიზიონში ერთხელ, 2014 წელს უკვე ითამაშა და 1 თამაში მოიგო (ისთერნ პროვინს კინგსთან 17:10), 6-ში კი, დამარცხდა.

2021 წლის ნოემბერში სიმბასმა 2 თამაში გამართა: ნამიბიასთან 24:60 დამარცხდა, ბრაზილიას კი, 36:30 სძლია.

გუნდის მენეჯერი ჯიმი მნენე ამბობს, რომ სიმბასი ქარი ქაფისთვის ნოემბრის ტესტებზე უკეთაა მომზადებული:

– მაშინ მოსამზადებლად მხოლოდ 2 კვირა გვქონდა, ახლა თებერვლის შუა რიცხვებიდან ვვარჯიშობთ. ვმუშაობთ ძალასა და გამძლეობაზე, რათა ავამაღლოთ ჩვენი თამაშის ინტენსივობა. გვსურს, რომ ტურნირზე კარგი შედეგი ვაჩვენოთ.

შავი ლომი კენიის შემდეგ 2 აპრილს ზიმბაბვეს გოსჰოუკს, ხოლო 7 აპრილს სამხრეთ აფრიკულ ელეფანტს ეთამაშება. საწყისი 2 თამაში სტელენბოშში, მესამე კი პორტ ელიზაბეტში გაიმართება.

ამის შემდეგ გუნდი შინ დაბრუნდება და ზემოთ ნახსენებ 17 აპრილს რაგბი ევროპის სუპერ თასის ნახევარფინალში ესპანურ იბერიანზს შეხვდება, ქარი ქაფს სრული შემადგენლობით, 23 აპრილიდან დაუბრუნდება.

ქარი ქაფზე საწყისი 3 მატჩისთვის შავი ლომის შემადგენლობა ასეთია:

შერკინება: მიხეილ წიკლაური, ნიკა პატარაია, თენგიზ ზამთარაძე, მიხეილ ორაგველიძე, გოგა ქადარია, გიორგი მაისურაძე, გიორგი პერტაია, ნიკა აბულაძე; ნოდარ ჭეიშვილი, ლაშა ჯაიანი, მიხეილ ბაბუნაშვილი, იოსებ გუშარაშვილი; ლუკა ივანიშვილი, სანდრო მამამთავრიშვილი, გიორგი თხილაიშვილი, ნიკო აფციაური, თორნიკე აქუბარდია;

ხაზი: გიორგი ბეგაძე, თენგიზ პერანიძე, დავით ხუროშვილი; გიორგი ბაბუნაშვილი, დავით მოძღვრიშვილი, ლუკა მატკავა; დემურ თაფლაძე, მირიან მოდებაძე, გიორგი ჩიქოვანი, გურამ ქანდაურაშვილი, თეიმურაზ ჭიჭინაძე, ოთარ ლაშხი, შალვა აფციაური, სანდრო სვანიძე.

თამაშების განრიგი

26 მარტი: შავი ლომი-სიმბასი;
2 აპრილი: შავი ლომი-გოსჰოუქსი;
7 აპრილი: შავი ლომი-ელეფანტი.

ბითაძისა და მამუკელაშვილის მაგარი თამაშები

ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში გოგა ბითაძემ მორიგი 20-ქულიანი მატჩი ჩაატარა. ეს მის კარიერაში მე-4 გახლავთ. ჩვენებური ინდიანა პეისერსი საკრამენტო კინგსის შეხვდა და დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხდა – 109:110.

ბითაძემ ამ შეხვედრაშიც სასტარტოდან დაიწყო და 29:29 წუთი ითამაშა. ქართველი კალათბურთელი მორიგ ორმაგ დუბლთან ახლოს იყო – მის ანგარიშზე 20 ქულა, 9 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარებაა. ჩვენებურმა 3-დან 1 სამქულიანი, 9-დან 8 ორქულიანი და 1-დან 1 საჯარიმო გამოიყენა. გოგამ 2-ჯერ დაკარგა ბურთი და 3-ჯერ დაჯარიმდა.

ბითაძეს 2-ვე გუნდიდან მხოლოდ 3-მა კალათბურთელმა აჯობა. ინდიანას მხრიდან კი, გოგაზე უკეთესი შედეგი მხოლოდ ბადი ჰილდს ჰქონდა – 25 ქულა, 7 პასი და 3 მოხსნა.

მომდევნო შემდეგ შეხვედრას ინდიანა მემფისის წინააღმდეგ გამართავს.

ამერიკაშივე სანდრო მამუკელაშვილმა კარიერის საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ნბა-ს განვითარების ლიგის კლუბ ვისკონსინ ჰერდის მაისურით, სადაც მას მილუოკი ბაქსი ანათხოვრებს ხოლმე.

სანდროს კლუბი შინ კანადურ რეპტორს დაუხვდა და 115:130 წააგო. მამუკელაშვილი სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 34 წუთში 30 ქულა, 20 მოხსნა (8 შეტევაში), 2 პასი, 1 ჩაჭრა და 3 დაფარება მიითვალა. გარდა ამისა, შესანიშნავი პროცენტული მაჩვენებელი ჰქონდა – სანდრომ 17-დან 12 ჩააგდო (4-დან 1 სამქულიანი).

მამუკელაშვილი სეზონში მე-3 კალათბურთელი გახდა, ვინც მინიმუმ 30 ქულა და 20 მოხსნა მიითვალა.

ამერიკიდან ევროპაში გადმოვინაცვლოთ...

ესპანურმა ტენერიფემ, რომლის ლიდერიც გიორგი შერმადინი გახლავთ, ფიბას ჩემპიონთა ლიგაში მორიგი მატჩი მოიგო. ეს გახლდათ ტოპ 16-ის ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩი, რომელსაც 5-დან 5 მოგების მქონე და პირველობაგანაღდებულ ტენერიფელთათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. შერმადინის გუნდმა ფრანგულ სტრასბურს უმასპინძლა და დაძაბული შეხვედრა მაინც მოიგო – 71:66. ტენერიფე ერთადერთი გუნდი გახდა, რომელმაც ტოპ 16-ის ეტაპი წაუგებლად დაასრულა.

გიორგი შერმადინი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და მოედანზე ჯამში 19:53 წუთი გაატარა, რა დროშიც 10 ქულა, 8 მოხსნა (3 მეტოქის ფარზე) და 1 დაფარება მიითვალა. ქართველმა ცენტრმა 8-იდან 3 ორქულიანი ჩააგდო და 4-იდან ყველა საჯარიმო გამოიყენა. შერმადინის ანგარიშზე ასევე 3 დაკარგვა და 4 ფოლია.

ახლა ტენერიფეს წინ მეოთხედფინალური ეტაპი აქვს, რომლის სერიაც 2 მოგებამდე გაგრძელდება. შერმადინი მეტოქეს მოგვიანებით, კენჭისყრის შედეგად შეიტყობს. ტენერიფესთან ერთად ევროთასის მეოთხედფინალში გავიდნენ: ჰაპოელ ჰოლონი (ისტრაელი), ლუდვიგსბურგი (გერმანია), მანრესა (ესპანეთი), თოფაში (თურქეთი), კლუჟ-ნაპოკა (რუმინეთი), უნიკახა (ესპანეთი) და სტრასბური (საფრანგეთი).

ულების ევროთასზე კი, საბერძნეთში ჩვენთვის საინტერესო მატჩი ჩატარდა. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ პატრასის პრომითეასი და იტალიური ვირტუს ბოლონია. ბერძნულ კლუბს საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ილიას ზუროსი თავკაცობს, ხოლო ბოლონიელთა ახალწვეული ჩვენი ნაკრების კაპიტანი, თორნიკე შენგელიაა. შეხვედრა იტალიური კლუბის იოლი გამარჯვებით – 83:61 დასრულდა.

შენგელია სტუმართა სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და მოედანზე ჯამში 14:29 წუთი დაჰყო, რა დროშიც 2 ქულა, 4-4 მოხსნა და პასი და 1 ბლოკი მითვალა. 30 წლის ფორვარდმა მეტოქის ფარს 2-ქულიანიდან სულ 3-ჯერ შეუტია, მაგრამ უშედეგოდ, მისი ორივე საჯარიმო ტყორცნა კი, ზუსტი აღმოჩნდა.

შენგელიას გუნდს ევროთასის 16 მატჩში 9 მოგება აქვს და ჯგუფში მე-4 ადგილზეა, ილიას ზუროსის გუნდი კი, 4 მოგებითა და 12 წაგებით ამავე ჯგუფში ბოლო, მე-10 პოზიციაზე რჩება. ვირტუსი მომდევნო მატჩს შინ ესპანურ გრან კანარიასთან ჩაატარებს, ხოლო პრომითეასი სტუმრად ვენეციას დაუპირისპირდება.

საქართველოს ასაკობრივი ნაკრებები ელიტ რაუნდში განადგურდნენ

საქართველოს 19-წლამდე ვაჟთა ნაკრებმა, ევროპის ჩემპიონატის ელიტ რაუნდის პირველი ტურის მატჩი რუმინეთის ნაკრების წინააღმდეგ ჩაატარა და დიდი ანგარიშით დამარცხდა – 1:5.

რუმინელებმა სწრაფი გოლი გაიტანეს და უკვე მე-11 წუთზე დაწინაურდნენ. ნახევარი საათის თავზე ვლახები 2 ბურთით იგებდნენ. საქართველოს ნაკრებიდან შეხვედრაში ერთადერთი გოლი 39-ე წუთზე, გიორგი აბუაშვილმა გაიტანა, რომელმაც ლუკა წულუკიძის გადაცემა ზუსტად გამოიყენა და პირველ ტაიმში სხვაობის შემცირება შეძლო.

პირველი ტაიმის 44-ე წუთზე ვასილ მაისურაძის გუნდის მდგომარეობა დამძიმდა – საკუთარ საჯარიმოში თამაშის წესების დარღვევისთვის მსაჯმა გიორგი ჩხეტიანი მოედნიდან გააძევა. ჩვენებს კიდევ ერთი ფეხბურთელი მატჩის მიწურულს გაუძევეს – შეცვლაზე შემოსული ნიკა სიხარულაშვილი. თუმცა, მანამდე ანგარიში უკვე გამანადგურებელი იყო – რუმინელებმა მე-2 ტაიმში 3 გოლი გაგვიტანეს.

მაისურაძის გუნდი, შემდეგ მატჩს 26 მარტს, ისლანდიის 19-წლამდე გუნდის წინააღმდეგ გამართავს, რომელიც მასპინძელ ხორვატიასთან 1:2 დამარცხდა.

საქართველოს 17-წლამდე ვაჟთა ნაკრებმა, შოტლანდიაში, ფოლკერკის სტადიონზე ევროპის ჩემპიონატის ელიტ რაუნდის ასევე პირველი მატჩი ჩაატარა, სადაც გერმანიის ნაკრებს დაუპირისპირდა და 0:3 დამარცხდა.

შეხვედრაში ანგარიში 26-ე წუთზე, თომ ბიშოფმა გახსნა, მალევე გოლის გატანის და ანგარიშის გათანაბრების რეალური შანსი ჰქონდა ლუკა პარკაძეს, მაგრამ მეკარესთან პირისპირ დარჩენილი პარკაძის დარტყმა დენის ზაიმენმა მოიგერია.

მე-2 ტაიმში გერმანელებმა კიდევ 2 გოლი გაგვიტანეს და მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირეს.

გიორგი ჩიტაურის გუნდი ელიტ რაუნდის მე-2 ტურის მატჩს ისევ ფოლკერკში, 26 მარტს გამართავს, სადაც ჩეხეთის 17-წლამდე ნაკრებს დაუპირისპირდება, რომელმაც მასპინძელ შოტლანდიასთან ფრედ – 2:2 ითამაშა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საქართველო ნაკრები 25 მარტს ბოსნიას ეთამაშება

დღეს საქართველოს ნაკრები სარაევოში ბოსნიის ეროვნულ გუნდს ამხანაგურად გაეჯიბრება.

ვილი სანიოლის გუნდმა დასკვნითი ვარჯიში გამართა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ცნობით, გუნდში ყველა ჯანმრთელად არის მოახლოებული მატჩისთვის მონდომებით ემზადება.

იყო პრობლემებიც – ლაშა დვალს ერთი ვარჯიში გაუცდა, ხოლო ვაკო ყაზაიშვილს – 2. თუმცა, კიდევ ერთი მატჩი საქართველოს ნაკრებს 29 მარტს ელის ალბანეთთან და გუნდთან შესათამაშებლად დრო აქვს. მით უფრო, რომ სანიოლი ამ მატჩებში როტაციას აუცილებლად მიმართავს.

შეგახსენებთ, რომ ჯაბა კანკავას ნაკრებიდან წასვლის შემდეგ გუნდის კაპიტანი გურამ კაშია იქნება, ხოლო ვიცე-კაპიტანი ნიკა კვეკვესკირი.

ოთარ კაკაბაძე:

– მთავარი ყურადღება ერთა ლიგაზე გვაქვს გადატანილი და ყველა მონდომებით ვემზადებით. ამხანაგური მატჩებისთვის გუნდები კარგად არის შერჩეული. დაახლოებით ისეთი დონის გუნდები არიან, რომლებსაც ჯგუფში უნდა დავუპირისპირდეთ. რთული თამაში გველოდება, რაც ბევრ რამეს დაგვანახებს.

ნიკა კვეკვესკირი:

– ეს 2 ამხანაგური თამაში ერთა ლიგის დაწყებამდე გენერალური რეპეტიციაა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სამწვრთნელო შტაბმა ფეხბურთელებში სწორი ბალანსი იპოვოს. განსაკუთრებით, ახალ ფეხბურთელებს შორის, რომლებსაც დებიუტი ექნებათ და რომლებიც დიდხნიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდნენ. მნიშვნელოვანია, ის დადებითი მუხტი, რომელიც ზედიზედ 3-მა გამარჯვებამ მოიტანა, ერთა ლიგის თამაშებამდე გაგვყვეს. ამისთვის აუცილებელია კარგი ხარისხი და შედეგი.

საქართველოს ნაკრები ამხანაგური მატჩებისთვის ასეთი შემადგენლობით ემზადება:

მეკარე: გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლაზარე კუპატაძე (დინამო ბთ);

დაცვა: გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), ოთარ კაკაბაძე (კრაკოვია, პოლონეთი), გურამ გიორბელიძე (დინამო, გერმანია), გრიგოლ ჩაბრაძე, მამუკა კობახიძე (ორივე დინამო ბთ), ლაშა დვალი (ფერენცვაროში, უნგრეთი), სოლომონ კვერკველია (მეტალისტი, უკრაინა);

ნახევარდაცვა: საბა ლობჟანიძე (ჰატაისპორი, თურქეთი), ნიკა კვეკვესკირი (ლეხი, პოლონეთი), ხვიჩა კვარაცხელია (რუბინი, რუსეთი), ზურიკო დავითაშვილი (არსენალი, რუსეთი), ვაკო გვილია (ჩესტოხოვა, პოლონეთი), ვლადიმერ მამუჩაშვილი (დინამო ბთ), გიორგი აბურჯანია (ჟილ ვისენტე, პორტუგალია), გიორგი წიტაიშვილი (ჩერნომორეცი, უკრაინა), ანზორ მექვაბიშვილი (დინამო თბ);

თავდასხმა: გიორგი ბერიძე, ბუდუ ზიგზივაძე (ორივე უიპეშტი, უნგრეთი), დავით ვოლკოვი (ზირა, აზერბაიჯანი), ვაკო ყაზაიშვილი (ჰიუნდაი, ს.კორეა).

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. კათოლიკური ეკლესია პოლონეთში; 2. ათქვეფილი კვერცხის ცილისგან მომზადებული ტკბილეული; 3. ევერესტის დამლაშქრავი ქართველი ალპინისტი; 4. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში; 7. მინერალური წყალი სამეგრელოში; 9. არწივის ძველი ქართული სახელწოდება; 12. ნივთიერება, რომელსაც გამომუშავებს თირკმლისზედა ჯირკვალი; 14. მზის სისტემის პლანეტა; 15. კომპანია „კოდაკის" დამფუძნებელი; 17. დედამიწის ჩრდილო პოლარული ზონა; 20. ღვინის თიხის სასმისი.

თარაზულად: 5. მგალობელი ჩიტი; 6. ცეცხლსასროლი იარაღის კონსტრუქტორი გერმანელი ძმების გვარი; 8. ბაზრის სახელწოდება ძველად საქართველოში; 10. სტაფილოს ნაყოფში არსებული მოყვითალო ფერის პიგმენტი; 11. ბრიტანული ფარმაცევტული ფირმა; 13. ხეივნიანი ფართო ქუჩის, პროსპექტის სახელწოდება სამხრეთ ამერიკაში; 16. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 18. ხის ზედა განტოტვილი ნაწილი; 19. სამონასტრო კომპლექსი გორის მახლობლად; 21. აეროპორტი ლონდონში; 22. ჭადრაკის პარტიის დასკვნითი ნაწილი; 23. ველური ვაზი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. წახნაგი; 2. ხარები; 3. შტურმანი; 4. რაფინადი; 7. დარდანელი; 8. ჟოეკვარა; 12. ოდოგრაფი; 14. დიაგრამა; 16. რუსთავი; 17. მორჩილი; 19. იავა; 20. აურა.

თარაზულად: 5. კავკასია; 6. კატალონია; 9. ხანუმა; 10. ბეშუმი; 11. მედეა; 13. ოდერი; 15. ბითაძე; 18. გურია; 21. ბატრიანი; 22. აბსურდი; 23. რაშკული.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბასტურმა; 2. ნაძვი; 3. სტიუარდი; 4. დასინი; 7. პირსი; 9. ბრიჯი; 12. ულტიმატუმი; 14. ხარება; 15. ფრაქცია; 17. კუმურდო; 20. ჰერში.

თარაზულად: 5. გაბრიაძე; 6. ლუტეცია; 8. ბავარია; 10. ვესტერნი; 11. ამქარი; 13. ენისელი; 16. ნიკოლაძე; 18. სუომი; 19. მადღი; 21. უემბლი; 22. კინტრიში; 23. ტანდემი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

25 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ
დოლარი
— 3.2372

ევრო
— 3.5561

დიდი ბრიტანეთის
გირვანქა სტერლინგი
— 4.2705

100 რუსული
რუბლი
— 3.3649

ამინდის პროგნოზი 25 მარტისათვის

ISSN 1987-9385

ნეიმარს პსჟ-დან წასვლა სურს

პსჟ-ს ბრაზილიელ ვარსკვლავს ნეიმარს გუნდის დატოვება სურს და შესაძლოა ეს უკვე ზაფხულში მოხდეს.

ნეიმარი გუნდის თამაშით უკმაყოფილოა და მას ასევე აღიზიანებს ის ფაქტი, რომ მაყურებელმა მას რამდენჯერმე დაუსტვინა და ხშირად აკრიტიკებენ.

ნეიმარის ბარსელონაში დაბრუნებაზე იყო საუბრები, მაგრამ თვითონ ფეხბურთელმა ეს ფაქტი უარყო. სავარაუდოდ, ნეიმარი ინგლისს მიაშურებს.

ბარსელონას ლევანდოვსკის ყიდვა უნდა

ესპანურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბარსელონას მიუნხენის ბაიერნის ფორვარდის რობერტ ლევანდოვსკის ყიდვა სურს და მზად არის პოლონელ ფეხბურთელს 4-წლიანი კონტრაქტიც შესთავაზოს.

თუ ლევანდოვსკი დათანხმდა, მაშინ მას მაღალი ანაზღაურება ექნება, თუმცა ზუსტი ციფრი ცნობილი არ არის.

ბოლო პერიოდში ლევანდოვსკიმ რამდენჯერმე ახსენა, რომ მას კარიერაში ახალი გამოწვევა სჭირდება.

კოუტინიო: „ბარსელონა ჩემს გულში დარჩება“

ასტონ ვილაში იჯარის წესით მყოფმა ფილიპე კოუტინიომ ბარსელონაზე ისაუბრა და თქვა, რომ მისთვის გაუგებარია, თუ რატომ არ აეწყო კარიერა ამ გუნდში, მაგრამ ის არ ნანობს ბარსელონაში გატარებულ დროს:

– ბარსელონაში ჩემი კარიერა ისე არ განვითარდა, როგორც მინდოდა, მაგრამ მაინც ბედნიერი ვიყავი და იქ გატარებულ დროს არ ვნანობ. ბარსელონა ყოველთვის ჩემს გულში იქნება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ზებრამ საკუთარი ნაშიერი ლომისგან დაიცვა

სამხრეთ აფრიკის კრუიუგერის ეროვნულ პარკში მამაცმა ზებრამ საკუთარი ნაშიერი ძუ ლომისგან დაიცვა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო პარკის ვებგვერდზეა გამოქვეყნებული.

აღნიშნული ვიდეო საფარი ჯიპიდან მმბანგისენი მილტონ ტშიოლოლმა გადაიღო. მასზე ჩანს, თუ როგორ გარბის დედა ზებრა თავისი ნაშიერის დასახმარებლად, რომელსაც თავს ძუ ლომი დაესხა.

ზებრა ლომთან მიიჭრა და უკანა ჩლიქები თავში ჩასცხო. შედეგად მტაცებელმა ნადავლს თავი ანება. ამით ისარგებლეს ზებრამ და მისმა ნაშიერმა სასწრაფოდ გაეცალნენ იმ ადგილს, ლომი კი ხახამშრალი დატოვეს.

– პირდაპირ დაუჯერებელია დედის სიყვარულის ძალა საკუთარი ნაშიერის მიმართ, – დაწერა ვიდეოს კომენტარში ერთ-ერთმა ინტერნეტ მომხმარებელმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

25 მარტისათვის

ვერძი – ერიდეთ ქალაქიდან გასვლას, განსაკუთრებით – მანქანით. უმჯობესია, თუ სახლში დარჩებით და დაისვენებთ მყუდრო გარემოში. **კურო** – საქმის გარჩევები, კამათი და სტრესი არ აგცდებათ, თუმცა მაინც ყველაფერი თქვენს მოთმინებაზეა დამოკიდებული. **ტყუპები** – ნებისმიერი წამოწყება საეჭვოა. არ არის გამორიცხული, დაუფიქრებელ ნაბიჯს სავალალო შედეგი მოჰყვეს. **კირჩხიბი** – მატერიალური მდგომარეობა საკმაოდ არასტაბილურია, მაგრამ, თუ არ იზარმაცებთ, შედეგით კმაყოფილი დარჩებით. **ლომი** – მეგობრებთან ურთიერთობისას კომპრომისზე უნდა წახვიდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონფლიქტი არ აგცდებათ. **ქალწული** – პრიორიტეტების შეცვლა მოგიწევთ. ქალებს სასიამოვნო შეხვედრა გელით. **სასწორი** – ბედი საჩუქარს გიმზადებთ, რომელიც, სავარაუდოდ, ფინანსებს უკავშირდება. ეჭვიანობა უკუაგდეთ. **ღრიანკალი** – შემოქმედებითი აღმავლობის დღეა. რეალობას რომანტიკულად აღიქვამთ. წარმატება თავდაჯერებულობას შეგმატებთ. **მშვილდოსანი** – დღის დევიზია სულიერი წონასწორობა, სიმშვიდე და ერთგულება. გარისკვა რეკომენდებული არ არის. **თხის რქა** – კონფლიქტური დღეა. ემოციებს ნუ აჰყვებით. არანაირი შეხვედრა არ დაგეგმოთ. **მერწყული** – კონფლიქტური დღეა, მაგრამ ეცადეთ, წვრილმან უსიამოვნებებს არ აჰყვეთ. შესაძლოა ძველი კავშირები აღადგინოთ. **თევზები** – კეთილისმყოფელი და ემოციური გარემო ოჯახში საქმეების წარმატებით დასრულებაში ხელს შეგიწყობთ. ფინანსური ოპერაციები თამამად განახორციელეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ცოლი ქმარს ეკითხება:
– ნასვამი ხარ?
– ვინ გითხრა?
– შენმა თვალებმა.
– შენ თვითონ ხარ ნასვამი. სად გაგიგონია მოლაპარაკე თვალები?

●●●

მიმდინარეობს მედესანტეების პარაშუტით ხტომები. ჯარისკაცები ერთიმეორის მიყოლებით ხტებიან. ამ დროს ინსტრუქტორთან ერთ-ერთი ჯარისკაცი მიირბენს და ეუბნება:
– ბატონო ინსტრუქტორო, რიგითი ქორიძე უპარაშუტოდ გადახტა.
– როგორ, ისევ?

●●●

კაცი ქალს ეუბნება:
– დავიღალე, შეიძლება, სახლში წავალ?
– არც კი იფიქრო! ქმარი მხოლოდ ერთ კვირაში დაბრუნდება!

●●●

ექიმი პაციენტს ეუბნება:
– მედიცინის შესაძლებლობები უსაზღვროა.
– სამაგიეროდ, ჩემი შესაძლებლობებია შეზღუდული...

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:
– სახლიდან ბოლო შენ გახვედი და საწოლი რატომ არაა გასწორებული?
– კატას ეძინა...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:
– ზღვაზე იყავი და საერთოდ არ გარუჯულხარ, რატომ, ცუდი ამინდები იყო?
– არა, სასტუმროში ვაი-ფაი იყო, პლაჟზე კი – არა...

●●●

ქმარი ცოლს ეკითხება:
– ძვირფასო, შენი „შოპინგის“ შემდეგ ფული დაგვრჩა?
– და შენი შინაგანი ხმა რას გკარნახობს?
– არაფერს, მხოლოდ იგინება!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სალომე ჭაჭუამ და ჯორდან ქონროიმ ცეკვის მარათონში გაიმარჯვეს

ირლანდიური „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ფინალისტებმა სალომე ჭაჭუამ და ჯორდან ქონროიმ ცეკვის მარათონში გაიმარჯვეს.

შოუს ნახევარფინალში ჩატარდა ცეკვის მარათონი, რომელშიც პროექტის ხუთი ვარსკვლავი და მათი მეწყვილე მონაწილეობდა. ჟიურის ცეკვის განმავლობაში უნდა დაესახელებინა ის წყვილი, რომელიც ყველაზე სუსტი იყო და გამარჯვებას არ იმსახურებდა.

მარათონის დროს ჟიურიმ საცეკვაო მოედნიდან ოთხივე წყვილი გაუშვა და, შესაბამისად, გამარჯვებულები სალომე და ჯორდანი გახდნენ.

„ერისიონი“ უკრაინის მხარდასაჭერად კონცერტს გამართავს

სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ერისიონი“ უკრაინის მხარდასაჭერად საქველმოქმედო კონცერტს გამართავს.

რუსთაველის თეატრში 29 მარტს ანსამბლი წარმოადგენს საქველმოქმედო პრემიერა-კონცერტს „არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში“. ღონისძიებაში ანსამბლ „ერისიონის“ მომღერალთა გუნდი მიიღებს მონაწილეობას.

ეროვნულ გალერეაში ვანდალიზმის მცდელობა აღიკვეთა

დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში ვანდალიზმის მცდელობა აღიკვეთა.

22 მარტს ორმა ახალგაზრდამ ნიკო ფიროსმანაშვილის საექსპოზიციო სივრცე დააზიანა. საბედნიეროდ, მათი ქმედება დროულად იქნა აღკვეთილი და მხატვრის არც ერთ ნამუშევარს საფრთხე არ შეჰქმნია.

ადგილზე გამოძახებულ იქნა საპატრულო პოლიცია. საქმე, შემდგომი მოკვლევის მიზნით, შესაბამის ორგანოებს გადაეცა.

გოგი დოლიძეს მიშა ჭიაურელის წიგნთან პრეტენზიები აქვს



კინომცოდნე გოგი დოლიძეს მიშა ჭიაურელის წიგნთან „ჩემი ცხოვრების აბლაბუდაში“ პრეტენზიები აქვს.

მან ღია წერილით გამომცემლობა „საარის“ რედაქტორ-კორექტორს მამუკა მიქენაიას მიმართა:

– ბატონო მამუკა, გული მწყდება, რომ უხუცესი ქართველი კინომცოდნე მთელი 4 წლის დაგვიანებით, ისიც შემთხვევით, გავეცანი თქვენი რედაქციითა და კორექტურით გამოცემულ წიგნს – მიშა ჭიაურელი, „ჩემი ცხოვრების აბლაბუდაში“, 2018.

ისიც გულწრფელად უნდა მოგახსენოთ, რომ ნამდვილი „გმირი“ ვარ, რადგან ამას სხვა ვერავინ შეძლებდა, მათ შორის, ცხადია, თქვენც. ამიტომაც, მჯერა, მჯერა, რომ არც კი გიცდიათ, ისე მოაწერეთ ხელი – ეს ხომ სტილია თქვენი გამომცემლობისა!

ნუ დაიზარებთ, მამამეხმაურეთ, მამაშვილურად გთხოვთ, ეგებ ახალგაზრდა კაცი ხართ და კიდევ შეიძლება თქვენი შველა, რომ მკითხველს ასე უდიერად არ მოექცეთ, მით უმეტეს, როცა ფრიად ნიჭიერი ავტორის მემუარული ჩანაწერების გამომზეურების საშუალება გეძლევათ. აბა, ღმერთი იყოს თქვენი შემწე.

ია ფარულავა „კონვერტს“ ფორმულაზე წაიყვანს



მსახიობი და ტელეწამყვანი ია ფარულავა ტელეკომპანია „ფორმულას“ თანამშრომელი გახდა.

მისი გადაცემა „ფარული კონვერტი“ „რუსთავი 2“-დან შეცვლილი სახელით „ფორმულაზე“ გადმოიტანა.

ია ფარულავა მაყურებელს 4 აპრილიდან კვლავ ტელეეკრანებიდან მიესალმება:

– მიყურეთ ტელეკომპანია „ფორმულას“ ეთერში. „კონვერტი“ გრძელდება ისევ ორშაბათს, ისევ 10 საათზე!

ილია ჭავჭავაძის დაკარგული წიგნები აღმოჩენილია

მწერლისა და პოეტის ილია ჭავჭავაძის დაკარგული წიგნები ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნთსაცავში ათეული წლების შემდეგ აღმოაჩინეს.

ინფორმაცია ლევან თაქთაქიშვილმა გაავრცელა:

– გაიხარე, ტანჯულო ერო! საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნთსაცავში მიკვლეულია 73 წიგნადი ერთეული ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის ეგზემპლარი და დიმიტრი ბაქრაძის ბიბლიოთეკის 7 ერთეული.

ეს გამოცემები კი იყო აღრიცხული, მაგრამ არ ვიცოდით, თუ ისინი ილია ჭავჭავაძის ან ბაქრაძის ნაქონი იყო.

რატომ მოხდა ასე? 1937 წელს, როცა ბიბლიოთეკას წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდი გადაეცა, ამ ფონდში შემავალი ილიას და დიმიტრი ბაქრაძის ბიბლიოთეკები საჯარო ბიბლიოთეკის ფონდებში გაფანტეს. მაშინ პირადი ბიბლიოთეკების შენახვა ბურჟუაზიული გადმონაშთი იყო. 1945 წელს კი ირტყეს თავში ხელი და მას მერე ეძებდნენ, მარა...

ხოდა, დღეს, დღეს განცხადდა! გილოცავთ!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. უბანი ძველ თბილისში; 2. ღვთაების, ხატის სადიდებელი საგუნდო სიმღერა საეკლესიო დღესასწაულის დროს; 3. ხუროთმოძღვრული ძეგლი, მონასტერი რაჭაში; 4. გეოდეზიური კუთხმზომი ხელსაწყო; 7. ჰოლანდიური ლუდი; 8. კოსმოდრომი იაპონიაში; 12. რომელიმე გეოგრაფიული ადგილის სახელწოდება; 14. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 16. ირმის ტყავებით შეფუთული ჩუქჩების ქოხი; 17. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 19. სასვენი ნიშანი გრამატიკაში; 20. მექსიკელი მოქანდაკე ქალი.

თარაზულად: 5. ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 6. ფედერიკო ფელინის მხატვრული ფილმი; 9. საქარგავად გამოყენებული ფერადი ძაფი; 10. ნავთობის რაოდენობის საზომი ერთეული; 11. მთავარი ქუჩა ტოკიოში; 13. ბარიტის საბადო რაჭაში; 15. ქორწინების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 18. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 21. ქართველი ესტრადის მომღერალი მამაკაცი; 22. სიახლის შეტანა რაიმე საქმეში; 23. ბეისბოლის მოთამაშის ერთ-ერთი ამპლუა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა